# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 5 ივლისი. 2023 წ. №78 (9610) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## რომელ ევროპაში მიდიხართ?

იხ. 6 გვ.



## ღია წერილი შეწყალებულს და შემწყალებელს

# მე არ მინდა ახალი ბაბილონი!!!

## „თუნდ გქონდეს ქვეყნის სიმდიდრე, ერთ ლამაზ ქალად არა ღირს"!

ტელეკომპანია „იმედის" ყველაზე რეიტინგული შოუს „ვინ ვინ არის" გამარჯვებული გახდა ულამაზესი და უნიჭიერესი ტელეჟურნალისტი, საუკეთესო დედა და ოჯახიშვილი მანიკა ასათიანი.

ვულოცავთ!



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა შეშფოთებას უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო, დაატოვებინოს საქართველოს ელჩს ქვეყნის ტერიტორია კონსულტაციის მიზნით. ეს ქმედება წარმოადგენს დიპლომატიური ურთიერთობების გამწვავების უკიდურეს ფორმას და სამწუხაროა, რომ ოფიციალური კიევი მიმართავს ამ ნაბიჯს მეგობარი სახელმწიფოსა და ხალხის მიმართ, – ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნულ გადაწყვეტილებას განსაკუთრებით გაუგებარს ხდის უკრაინის ხელისუფლების მიერ დასახელებული საფუძველი.

## „მეგობარი" კიევი თბილისთან ურთიერთობას უკიდურესად ამწვავებს!

მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის ირგვლივ სპეკულაციებს წერტილი დაუსვა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომლითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა სახელმწიფოს მხრიდან მიხეილ სააკაშვილის უფლებების დაცვის უმაღლესი სტანდარტები. ასეთი განვითარების ფონზე, უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილება არსებით ზიანს აყენებს ორი ქვეყნის სტრატეგიულ ურთიერთობებს და წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში პირდაპირ ჩარევას.

იმედს ვიტოვებთ, რომ ოფიციალური კიევი გადახედავს საკუთარ გადაწყვეტილებას და ძალისხმევას მიმართავს ორი ქვეყნის ისტორიულად მეგობრული ურთიერთობების შემდგომი განვითარებისკენ.

კიდევ ერთხელ გვინდა, ხაზი გავუსვათ, რომ ურყევია საქართველოს მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის და უკრაინელი ხალხის მიმართ. ომის დაწყების დღიდან საქართველო ახორციელებს უკრაინის პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ მხარდაჭერას როგორც ორმხრივ დონეზე, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატში.

ნიშანდობლივია ისიც, რომ რუსეთის სამხედრო აგრესიის პირობებში, ყველაზე მძიმე წუთებშიც კი, უკრაინაში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ფუნქციონირება არ შეუწყვეტია.

აღნიშნულის თაობაზე ოფიციალური თბილისის პოზიცია უკრაინულ მხარეს ასევე გადასცა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი ზაქარაშვილმა, დღეს ქ.კიევში უკრაინის საგარეო უწყებაში გამართული შეხვედრის დროს.

## ეს ტრიუმფია საქართველოსი!

# იტალიაც დავალელოვეთ

გილოცავთ! – მიუხედავად საგოლოო შედეგისა, ისტორია უკვე დაწერილია: უმცროსმა ბორჯღალოსნებმა სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის (20-წლამდელები) ჯგუფურ რაუნდში პირველად მოიგეს ერთბაშად 2 შეხვედრა და პლანეტის საუკეთესო 8 გუნდში მოიპოვეს ადგილი.

**საქართველო - იტალია 30:17**

პირველი ტაიმი 18:10



**ლელო:** ლომიძე, ხონელიძე (2), ჭამიაშვილი.

**2 გარდასახვა და 2 საჯარიმო:** ხუციშვილი.

**მსაჯი:** შნაიდერი (არგენტინა).

პროგრამა – მინიმუმის შესასრულებლად აუცილებელი იყო ბონუს-ქულით გამარჯვება და ბიჭები თავიდანვე შეუდგნენ მიზნის სისრულეში მოყვანას. მათ მრისხანე მეტოქე პრინციპული ბრძოლის ყველა კომპონენტში დაჩაგრეს, მხსნელი მე-4 ლელო კი, რომელიც ამავე დროს პრემიალურიც აღმოჩნდა, მატჩის ბოლოსწინა წუთზე ჭამიაშვილმა მიითვალა.

მოკლედ, კიდევ ერთხელ მადლობა **ლადო კილასონიას** გაწვრთნილ ლომებს.

**გაგრძელება აუცილებლად იქნება!**

## პაატა ნაცვლიშვილი



იხ. 7 გვ.

## ჰოდა, გიორგი ნიკოლაძის არითმომეტრისა

## დავით თორაძე – ქართული მუსიკის სიამაყე

იხ. 9 გვ.



# „ჯარის ბანაკი“ კოჯორში



გუშინწინ პრემიერმა კოჯორში „ჯარის ბანაკი“ გახსნა.

**„მოგესალმებით ყველას, ჩემო ძვირფასო მეგობრებო. მინდა განსაკუთრებული პატივისცემით მივესალმო ჩვენს საამაყო ახალგაზრდობას, ჩვენს ჯარს, ჩვენს სამხედროებს, ჩვენი საპატრიარქოს წარმომადგენლებს მინდა მივესალმო დიდი პატივისცემით.**

**მოგეხსენებათ, რომ ჩვენ დავიწყეთ მასშტაბური პროექტი, „ჯარის ბანაკის“ პროექტი, რომელიც, ვფიქრობ, ძალიან ბევრ ახალგაზრდას, ჩვენს შვილებს, მომავალ თაობას დააინტერესებს. ამ პროექტის მიმართ ინტერესი თავიდანვე ძალიან მაღალი იყო, როდესაც ჩვენ დავიწყეთ ამ პროექტზე მუშაობა. ეს პროექტი ხორციელდება ორი სამინისტროს ჩართულობით, თავდაცვისა და განათლების სამინისტროების ჩართულობით. ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი წამოწყება. მოგეხსენებათ, რომ ეს ბანაკი წელს პირველად იმართება, ჩვენ დავიწყეთ უკვე ერთი კვირის წინ, დაახლოებით. სულ, ჯამში, 800 მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას ამ ბანაკში, თითო როტაციაში 100 მოსწავლე იქნება და აგვისტოს ბოლოს დასრულდება.**

**მინდა რამდენიმე სიტყვით მოგმართოთ, ჩემო ძვირფასო ახალგაზრდებო. ჯარის მნიშვნელობა და, ზოგადად, ჩვენი საამაყო ჯარის როლი ჩვენი საზოგადოების განვითარების საქმეში ძალიან დიდია. მიმაჩნია, რომ აუცილებელია ჩვენი ახალგაზრდების ჩართულობა თავიდანვე, – სკოლებიდან, ბაღებშიც უნდა შევიტანოთ სწავლება, მეტი ინფორმაცია უნდა შევიტანოთ, რომ გაიზარდოს ინფორმირებულობა და ცნობიერება ამაღლდეს ახალგაზრდებში.**

**გაიგონ თავად, თუ როგორ იმართება ჯარი, თავად გექნებათ თქვენ ეს უნიკალური შანსი, რომ გაეცნოთ სამხედრო საქმიანობას, მიიღოთ მონაწილეობა. ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ, ერთი მხრივ, ზოგადად ინტერესის გაზრდას ჯარის მიმართ. თქვენ პირადად, ჩვენი ომების მონაწილე გმირ ჯარისკაცებს, ცოცხალ გმირებს შეხვდებით, რომლებიც თავად მოგიყვებიან ჩვენი ჯარის საგმირო საქმეებს, არა მხოლოდ ჩვენს წარსულში ჩადენილ საგმირო საქმეებს, არამედ ჩვენს აწმყოში, რამდენიმე წლის წინ მომხდარ საგმირო საქმეებს“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**„მე მიმაჩნია, რომ ეს ბანაკი ხელს შეუწყობს ჩვენს ახალგაზრდებში ჯანსაღი, სწორი ღირებულებების პოპულარიზაციას. დღევანდელ მსოფლიოში, და დღეს, ბუნებრივია, საქართველო არის ამ გლობალიზაციის ნაწილი, ძალიან ბევრი საცდური არის ჩვენი ახალგაზრდებისთვის. ამიტომ, ახალგაზრდებს სჭირდებათ თავიდანვე სწორი ორიენტირების განსაზღვრა. ამ პროცესში, რა თქმა უნდა, ჩვენი, სახელმწიფოს როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი, თავდაპირველად ოჯახი და შემდეგ სახელმწიფო. ვინაიდან თქვენ დიდ დროს უთმობთ სკოლაში ყოფნას, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი არის განათლების სამინისტროს ჩართულობა და მათი როლი, თავიდანვე, პირველივე დღეებიდან მათი ჩართულობა არის ძალიან მნიშვნელოვანი“.**

პრემიერ-მინისტრმა თავდაცვის ახალი კოდექსის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რომელსაც პარლამენტი უახლოეს დღეებში დაამტკიცებს.

**„ასევე, მინდა რამდენიმე სიტყვით გითხრათ, რომ ჩვენ შევიმუშავეთ ძალიან კარგი თავდაცვის ახალი კოდექსი, რომელსაც პარლამენტი უახლოეს დღეებში დაამტკიცებს. ჩვენ დავარეგულირეთ, მათ შორის, წვევამდელთა სამსახურის ახალი პირობები, რომელიც ძალიან მოქნილი იქნება, ძალიან პოპულარული იქნება ახალგაზრდებში. მინიმუმ 6-თვიანი პროგრამები იქნება, ასევე იქნება 8-თვიანი, 10-თვიანი, 11-თვიანი, იმის მიხედვით, ვის რა ინტერესი აქვს. ასევე, სტუდენტებისთვის მოვიფიქრეთ ახალი გამოსავალი, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ სტუდენტი, რომელიც ჩაერთვება ამ ახალ პროგრამაში და წელიწადში 1 თვეს დაჰყოფს, გაატარებს დროს, მიიღებს მონაწილეობას ჯარში, 4 წლის თავზე, 4 თვის დასრულების შემდეგ, მას ჩაეთვლება სამხედრო სამსახური მოხდილად.**

**მინდა ყველა ადამიანს, ვინც ჩართული იყო ამ პროექტის მომზადებაში, ბატონ მინისტრს ჯუანშერ ბურჭულაძეს, ბატონ გიორგი ამილახვარს, ჩვენს სამხედროებს, ყველას მადლობა გადავუხადო, ჩვენს საპატრიარქოს მინდა მადლობა გადავუხადო. ვიცი, რომ ძალიან საინტერესო დისკუსიები გაიმართება ყოველ საღამოს. მეც, თუ დამპატიჟებთ, სიამოვნებით ჩავერთვები. მიმაჩნია, რომ აუცილებელია ჯანსაღი დისკუსია გაიმართოს, ნებისმიერ კითხვაზე უნდა გაეცეს პასუხი ჩვენს ახალგაზრდობას.**

* * *

**კოჯორში, გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია მთელი ზაფხულის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს ახალ პროექტს – „ჯარის ბანაკს“ მასპინძლობს. საპილოტე საზაფხულო ბანაკის მონაწილეები იმ სკოლების მოსწავლეები არიან, რომლებშიც წელს საგნები „თავდაცვა და უსაფრთხოება“ და „სამხედრო საქმე“ ისწავლებოდა.**

# ელექტროენერგიის წარმოების ზრდა - მთავრობის სხდომის მთავარი საკითხი

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 12 საკითხი განიხილეს. მთავრობამ ელექტროენერგიის წარმოების სიმძლავრის პირველი აუქციონის შედეგები დაამტკიცა, სადაც 27-მა კომპანიამ გაიმარჯვა.**

კომპანიებთან უმოკლეს პერიოდში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპის ხელშეკრულებები გაფორმდება. 27 პროექტიდან 10 მზის, 2 ქარის, ხოლო 15 ჰიდროელექტროსადგურია. განახლებადი წყაროებიდან ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერგიის წარმოების სიმძლავრის აუქციონში, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ჰქონდა გამოცხადებული, 78 განაცხადი იყო წარმოდგენილი. აღინიშნა, რომ აუქციონის მიმართ დაინტერესება ინვესტორების მხრიდან იყო ძალიან მაღალი, ვინაიდან პირველი აუქციონის გამოცხადებულ 300 მგვტ დადგმულ სიმძლავრეზე წარმოდგენილი იყო 900 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის განცხადებები.

აუქციონის კომისიამ, რომელშიც ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის წარმომადგენლები შედიან, განიხილა და შეისწავლა დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები, მასალები და განაცხადები.

სხდომაზე საკითხის განხილვისას ხაზი გაესვა, რომ განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემა ძალიან წარმატებით ხორციელდება, რასაც აუქციონის შედეგები ადასტურებს და რაც, საბოლოოდ, ენერგოსექტორში 2 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელების შესაძლებლობებს შექმნის.

# ირაკლი კობახიძე: საქართველოსთვის სტატუსის მინიჭება პოლარიზაციას ვერ დაასრულებს!



**ქვეყნისთვის სტატუსის მინიჭება პოლარიზაციას ვერ დაასრულებს, მაგრამ ფუნდამენტურ ცვლილებას შეიტანს საერთო პოლიტიკურ გარემოში,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით ანგარიში წარადგინა. მისივე თქმით, რადიკალური ოპოზიცია კანდიდატის სტატუსის საკითხს ბოროტად იყენებს, რათა პოლარიზაცია გააღვივოს.

**„ხედავთ, რომ ბოლო ერთი წლის, თვეების განმავლობაში მთავარი თემა, რაზეც რადიკალური ოპოზიცია აგებს პოლარიზაციის კამპანიას, სწორედ კანდიდატის სტატუსია. სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვან თემასაც კი ბოროტად იყენებენ, რათა პოლარიზაცია გააღვივიონ. ეს არის მთავარი ინსტრუმენტი მათ ხელში, რომლითაც აღვივებენ პოლარიზაციას. რა თქმა უნდა, კანდიდატის სტატუსის მინიჭება ჩვენი ქვეყნისთვის ავტომატურად შეცვლის ამ მდგომარეობას. ბოლომდე ვერ დაასრულებს პოლარიზაციას, მაგრამ არსებით ცვლილებას შეიტანს იმ მდგომარეობაში, რაც დაკავშირებულია პოლარიზაციასთან. ამ კუთხითაც უნდა გვქონდეს იმედი, რომ, საბოლოო ჯამში, კანდიდატის სტატუსი მოგვენიჭება“...**

ამასთან, როგორც კობახიძემ აღნიშნა, ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების ინტერესებშია სიმშვიდე, ქვეყანაში არ არსებობდეს პოლარიზაცია.

**„უხეშ რიტორიკას რაც შეეხება, ძალიან რთული საკითხია, ცალმხრივად ამ პრობლემას ვერ მოაგვარებ. როცა მეორე მხრიდან, რა თქმა უნდა, ოპოზიციაზე ვსაუბრობ, ხან პრორუსულს გეძახიან, ხან რუსულს, პუტინისტს და ასე შემდეგ, შეუძლებელია, ამ ყველაფერს პასუხი არ გასცე. აქედან გამომდინარე, რთული საკითხია პრობლემის მოგვარება. სუბიექტურადაც დაინტერესებულია ნებისმიერი ხელისუფლება ნებისმიერ ქვეყანაში, რომ არ ჰქონდეს პოლარიზაცია, ოთხი წლის განმავლობაში მშვიდად მართოს ქვეყანა. ეს არის არა მარტო ობიექტური ინტერესი, არამედ ხელისუფლების სუბიექტური ინტერესია, სიმშვიდე ხელისუფლების სუბიექტურ ინტერესებშია. აქედან გამომდინარე, ნათელია, ვის აწყობს პოლარიზაცია. რასაც ეძახიან პოლარიზაციას, სინამდვილეში არის რადიკალიზმი. პოლარიზაცია არის ტერმინი, რომელიც, უბრალოდ, პასუხისმგებლობას ანაწილებს ოპოზიციასა და ხელისუფლებაზე. სინამდვილეში, პრობლემა არის რადიკალიზმი. ოპოზიცია როცა გეძახის რუსს, პუტინისტს და ასე შემდეგ, შენ იძულებული ხარ, უპასუხო. სამწუხაროდ, ასე გრძელდება. ეს პროცესი არის ჩაკეტილი წრე. არ ვიცი, როგორ უნდა გავარღვიოთ ჩაკეტილი წრე, მაგრამ კანდიდატის სტატუსის მინიჭება ყველა შემთხვევაში ძალიან დადებით როლს შეასრულებს პოლარიზაციის ხარისხის შემცირებაში“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# ევროკომისიიდან გვეუბნებიან: ნუ აქცევთ ყურადღებას ევროპარლამენტარებსო!

**ევროკომისიიდან კონკრეტული მაღალი რანგის წარმომადგენლები როცა გვხვდებიან, გვეუბნებიან, რომ ყურადღებას ნუ აქცევთ ევროპარლამენტარებსო. ამაზე ჩვენი პასუხია, მაშინ აუხსენით ხალხს მათი განცხადებები,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით ანგარიშს წარადგენს. მისივე თქმით, ამას საჯაროდ ვერ იტყვიან და ევროპარლამენტის მიმართ უპატივისმცემლობას ვერ გამოხატავენ.

**„საუბარია ძალიან მაღალი რანგის წარმომადგენლებზე და იმაზე, დახურულ შეხვედრებზე რაზეც არის საუბარი – ევროპარლამენტარებს ნუ უსმენთ, მათი შეფასებები არ არის მნიშვნელოვანი, ნუ მიაქცევთ ყურადღებას, მათ შეფასებებს არ ექნება გავლენა კანდიდატის სტატუსზე. ძალიან მაღალი რანგის წარმომადგენელზეა საუბარი, ვისაც განსაკუთრებული სიტყვა ეთქმის. დახურული შეხვედრაა, ვერ გამოვიტან გარეთ, მაგრამ ეს არის ის, რასაც გვეუბნებიან. საჯაროდ ვერ იტყვიან ამას, რადგან ევროპარლამენტის მიმართ საჯაროდ ვერ დააფიქსირებ უპატივისმცემლობას. გვეუბნებიან, რომ გადაწყვეტილებას იღებს ევროკომისია, ევროპული საბჭო და არა ევროპარლამენტი. ეს არის რეალობა“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# დეკემბერში მიღებული იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება!

**კარგად ჩანს, რომ პრიორიტეტები პრინციპულად შევასრულეთ. შესაბამისად, ჩვენ შარშანაც მზად ვიყავით იმისთვის, რომ მოგვნიჭებოდა კანდიდატის სტატუსი, თუმცა, ამ შემთხვევაში, საერთოდ არავითარი საბაბიც კი არ არსებობს იმისა, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭოს,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**„რეალურად, ყველაფერი, მათ შორის, ბოლო სტატისტიკა აჩვენებს, რომ ხელისუფლებამ, პირველ რიგში, პარლამენტის ჩართულობით, შეასრულა თორმეტივე პრიორიტეტი, რომელიც იყო წარმოდგენილი ევროკომისიის მიერ. კანონმდებლობასთან დაკავშირებით მზად ვართ კონსულტაციებისთვის. ბუნებრივია, ამაზეც არავითარი დაბრკოლება არ იქნება. ხშირად ციფრებით ადვილად ხდება ხოლმე მანიპულირება, რეალურად, შინაარსს თუ ჩავუღრმავ-**





# ლგბტქ+ პროპაგანდა კანონით აიკრძალება?!

**ლგბტქ+ პროპაგანდა საქართველოში შესაძლოა კანონით აიკრძალოს. მთავრობა კანონპროექტს მალე წარადგენს, თუმცა აკრძალვამდე თბილისი პრაიდის კვირეულს მასპინძლობს.**

**კვირეული, რომელიც სამი ღონისძიებისგან შედგება, 8 ივლისს პრაიდ ფესტივალით დასრულდება. გახსნის ღონისძიებას ლგბტქ+ ადამიანები, მხარდამჭერები, საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.**

**საქართველოში გაეროს წარმომადგენლის, ნიკ მერესფორდის განცხადებით, რომელიც ღონისძიების სტუმარი იყო, აღინიშნა, რომ ღონისძიების უსაფრთხოება დაცულია და თითოეული მონაწილის უსაფრთხოების დაცვას შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს.**

ღონისძიებას ასევე დაესწრო საქართველოში ნიდერლანდების ელჩი, რომლის განცხადებით, მისთვის ეს არის დღესასწაული, თანასწორობის დღესასწაული იმისთვის, რომ ყველას შეახსენონ, თანასწორობა არის, უპირველეს ყოვლისა ყველა ადამიანის მიმართ, გამოხატული თავისუფლება.

**„პრაიდ კვირეული ასევე არის იმისთვის, რომ ადამიანები უნდა იყვნენ ისინი, ვინც არიან და ისე, როგორც არიან. მადლობელი ვარ, რომ ღონისძიება არის დაცული, მონაწილეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ და იმედია, რომ პრაიდის კვირეულის მომავალი ღონისძიებებიც ჩაივლის ასევე უსაფრთხოდ ყველასთვის“,** – განაცხადა **მააიკე ვან კოლდამმა.**

როგორც ჩვენი გაზეთი იუწყებოდა, ლგბტქ+ დაანონსებულ კვირეულს საგანგებო განცხადებით ეხამურება საქართველოს საპატრიარქო და თვლის, რომ არ შეიძლება ღონისძიებას თავისი უარყოფითი გავლენა არ ჰქონდეს. განცხადების თანახმად, ეკლესია არასდროს მოუწოდებს ძალადობისკენ, პირიქით, მოსახლეობაში სიმშვიდის შენარჩუნებისთვის ზრუნავს, ამიტომ დღეს შეიძლება განსაკუთრებულად დროული იყოს საკანონმდებლო გზით პრობლემის დარეგულირება.

აღსანიშნავია, რომ ყველა გამოკითხვით მოსახლეობის 90%-ზე მეტი, მხარს უჭერს ოჯახის ღირებულებებს, ქრისტიანულ ფასეულობებს, ტრადიციებს. შესაბამისად, არსებული ინფორმაციით, მთავრობა მუშაობს კანონპროექტზე, რომლის თანახმად აიკრძალება ლგბტ პროპაგანდა. მთავრობის მეთაურის განცხადებით, მიუღებელია ბაღებში, სკოლებში ლგბტ პროპაგანდა.

**„ეს არის საკმაოდ მგრძნობიარე თემა, ამის თაობაზე ძალიან ბევრ ქვეყანაში არაერთი დებატი გაიმართა და დღემდე გრძელდება ეს დებატები. მე ღიად ვთქვი რამდენიმე დღის წინაც და ახლაც გავიმეორებ, არ მოვერიდები, საერთოდ არ მიმაჩნია, უხერხულობად ამაზე საუბარი. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ უნდა გავხსნათ დებატები ამ თემაზე ჩვენს ქვეყანაში. მოვიდა დრო, რომ ამ თემაზე გაიხსნას დებატები, რომ ერთხელ და სამუდამოდ ცხადად ჩამოვაყალიბოთ ჩვენი პოზიცია, მკაფიოდ ითქვას, რას ვემხრობით, რა არის მისაღები, რა არის მიუღებელი.**

**ჩემთვის მიუღებელია ბაღებში, სკოლებში ლგბტ პროპაგანდა, ღიად გეუბნებით, მიუღებელია მეგობრებო, არ შეიძლება. ევროპაშიც და სამწუხაროდ, ამერიკაშიც რა ხდება იცით თქვენც, საჯაროდ არის ინფორმაცია ამის თაობაზე - ბაღებში შევიდა ეს პროპაგანდა, არ შეიძლება, კატასტროფაა ეს. ბაღებში და სკოლებში მიმდინარეობს პროპაგანდა, ეს არის მიუღებელი. ასევე ამორალური იყო კამპანია, რომელიც აწარმოა „მაკდონალდსმა“ და თქვა რომ ეს იყო გლობალური კამპანიის ნაწილი“,** – აცხადებს **ირაკლი ღარიბაშვილი.**

პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ საქართველოში ეს საკითხი არ უნდა იყოს ტაბუდადებული თემა. ამაზე შეიძლება გაიხსნას დებატები პარლამენტშიც, მათ შორის შეიძლება საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი, მაგრამ, მისი თქმით, ამას სჭირდება დებატების გახსნა და საერთო კონსენსუსის მიღება.

**„ჩვენ 2014 წელს მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი. ჩვენი ინიციატივით ქორწინების დეფინიცია მოხდებოდა კონსტიტუციის დონეზე, რომ დაგვეზღვია ყველა შესაძლო შემდგომი რისკი. აი, მაგალითად, თამარ კორძაია რომ გახდეს პრემიერ-მინისტრი, მან შეიძლება მოითხოვოს, ეს არასდროს არ მოხდება, ქორწინების დეფინიციის გაუქმება, ან ამ პროპაგანდის დაშვება სკოლებში, ბაღებში.**

**ჩემი პოზიცია გითხარით, მე ასე მიმაჩნია, რომ ეს საკითხები საჭიროებს ფართო დებატებს, უნდა გაიხსნას დებატები ამ თემებზე, უნდა ღიად ვისაუბროთ საზოგადოებაში, მკაფიოდ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი პოზიცია.**

**მე ჩემი პოზიცია გითხარით როგორც მოქალაქის და მთავრობის მეთაურის პოზიცია, რომ მიუღებელია ჩემთვის ეს პროპაგანდა ბაღებში და სკოლებში. საგანგაშო ტენდენციაა, საფრანგეთის კვლევა დავასახელეთ, IPSOS-მა საფრანგეთში ჩაატარა კვლევა. სადაც ახალგაზრდების 22% აცხადებს თავს ლგბტ-დ. ეს არის საგანგაშო ტენდენცია“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის ინიციატივა, რომ ლგბტ პროპაგანდა კანონით უნდა აიკრძალოს, მხარს არ უჭერს პრეზიდენტი და აცხადებს, რომ ჯერ არმიღებულ კანონს ვეტოს დაადებს. სალომე ზურაბიშვილი პრემიერს რიტორიკას უწუნებს და მოუწოდებს, რომ უთუოდ უნდა შეიცვალოს, რადგან ეს არის მიუღებელი რიტორიკა ქვეყნისთვის, რომელსაც აქვს ევროპული წარსული და რომლის თაობები მოდიოდა იმით, რომ ევროპული ღირებულებები იყო ღირებულებები...

ამ ეტაპზე „ქართულ ოცნებაში“ არ განიხილება ისეთი კანონპროექტის მიღება, რომელიც შეზღუდავს ლგბტ პროპაგანდას. „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი თვლის, რომ არაჯანსაღ პროპაგანდას ჯანსაღი პროპაგანდა უნდა დაუპირისპირდეს. შეგახსენებთ, რომ „ევროპელი სოციალისტების“ დეპუტატმა, ფრიდონ ინჯიამ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ აპირებენ კანონპროექტის მომზადებას, რომელიც ლგბტ პროპაგანდის შეზღუდვას გულისხმობს. როგორც ინჯია აცხადებს, დაახლოებით 7 კანონპროექტია იმ მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც 30 აპრილის ორგანიზატორებმა დააყენეს. ოპოზიციაში თვლიან, რომ ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა ეს იქნება ნამდვილი დაბრკოლება საქართველოს ევროპულ გზაზე.

**თამთა ქარჩავა**

---

**დებით, ძალიან კარგად ჩანს, რომ პრიორიტეტები პრინციპულად შევასრულეთ. შესაბამისად, ჩვენ შარშანაც მზად ვიყავით იმისთვის, რომ მოგვნიჭებოდა კანდიდატის სტატუსი, თუმცა, ამ შემთხვევაში, საბაბიც კი არ არსებობს, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭოს. რა თქმა უნდა, დეკემბერში მიღებული იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება და პოლიტიკური გადაწყვეტილების დროს წინასწარ არასდროს იცი, როგორი იქნება მისი შინაარსი, მაგრამ თუ საუბარია ფაქტებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებაზე, ამ შემთხვევაში, საქართველოს აუცილებლად ეკუთვნის კანდიდატის სტატუსი“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## სააკაშვილთან დაკავშირებით ზელენსკის ნაბიჯი ძალიან შეურაცხმყოფელია!

**სააკაშვილთან დაკავშირებით უკრაინის პრეზიდენტის ნაბიჯი შეურაცხმყოფელია, ჩვენი სურვილია, თუნდაც ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმში დავრჩეთ უკრაინის ხელისუფლებასთან, რადგან ეს ქვეყანა არის დღეს მძიმე ომის მდგომარეობაში!** – ირაკლი კობახიძემ პრესკონფერენციაზე საქართველოს პირველი არხის ჟურნალისტის კითხვას უპასუხა.

კობახიძეს კითხვა დაუსვეს უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის გადაწყვეტილებაზე, რომელიც საქართველოს ელჩს 48 საათის განმავლობაში კიევის დატოვებას და მიხეილ სააკაშვილის საკითხზე კონსულტაციებისთვის თბილისში დაბრუნებას სთხოვს.

**„უკრაინის პრეზიდენტის გუშინდელ ნაბიჯს რაც შეეხება, რომელიც უკავშირდებოდა მიხეილ სააკაშვილს, მე არ მინდა, ღრმად შევიდე ამ თემაში ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ საქმე ეხება იმ ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც არის ომის მდგომარეობაში. მაგრამ, ზოგადად, ხელისუფლების ეს პოზიცია ჩვენთვის არის შეურაცხმყოფელი. შეურაცხმყოფელი იყო თავისთავად ისიც, რომ, როგორც თავად აღიარეს ჩვენმა ოპონენტებმა, უკრაინის ხელისუფლების კონკრეტული მაღალჩინოსნები ჩართული იყვნენ სააკაშვილის საქართველოში გამოგზავნაში და დღეს, როდესაც იგივე ხელისუფლება ითხოვს სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნებას, ეს, რა თქმა უნდა, შეიცავს შეურაცხყოფის ნიშნებს. თუმცა, ამაზე ღრმად, არ მინდა, შევიდე ამ თემაში. ჩვენი სურვილია, თუნდაც ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმში დავრჩეთ უკრაინის ხელისუფლებასთან, რადგან ეს ქვეყანა არის დღეს მძიმე ომის მდგომარეობაში“.**



## ბაბანია ომის დროსაც არ მივიწყებსო...

**„როგორ შეიძლება, თუნდაც ამის გამო არ გიყვარდეს უკრაინა და არ სცემდე პატივს მის პრეზიდენტს. მე ვრჩები უკრაინის პრეზიდენტთან არსებული რეფორმათა საბჭოს თავმჯდომარედ და რა თქმა უნდა, გმირული ქვეყნის ამაყ მოქალაქედ.**

**უახლოეს დღეებში ველოდები კარგ ამბებს ფრონტიდან. ასევე დიდი მადლობა Андрей Ермак, Михаил Подоляк, Dmytro Kuleba“,** – წერს მიხეილ სააკაშვილი.

უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ სთხოვს საქართველოს ელჩს, 48 საათის განმავლობაში დატოვოს უკრაინა, რათა კონსულტაციები გამართოს თბილისში მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნებაზე. ზელენსკის თქმით, რუსეთი საქართველოს ხელისუფლების ხელით კლავს უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს.

## უკრაინის მხარეზე გეი-სამხედროებიც იბრძვიან



**27 წლის ბორისი უკრაინის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში რუსეთის აგრესიას ებრძვის. ბორისი ამბობს, რომ გეია და ის „თავისუფლებისთვის, ევროპული ფასეულობებისთვის იბრძვის“. ლგბტ საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობაზე რუსეთში აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში The Telegraph სტატიას აქვეყნებს.**

რამდენიმე დღის წინ ესტონეთმა ერთნაირისქესიანთა ქორწინება ოფიციალურად დააკანონა. უკრაინელი გეი სამხედროები იმედს გამოთქვამენ, რომ უკრაინა შეიძლება შემდეგი გახდეს, რომელიც ამ ნაბიჯს გადადგამს.

ბორისი ამბობს, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში გეი სამხედროების რაოდენობამ და ჰომოფობიის, როგორც ტრადიციული რუსული ფასეულობის აღქმამ, ერთნაირი სქესის წარმომადგენელთა ურთიერთობების მიმართ უკრაინაში დამოკიდებულება დადებითისკენ შეცვალა. უკრაინის პარლამენტში შეტანილია კანონი სამოქალაქო კავშირის შესახებ, რომელმაც ერთნაირი სქესის პარტნიორობა უნდა დააკანონოს, მაგრამ ომმა ეს საკითხი მეორე პლანზე გადასწია. 36 წლის ალინა სარნაცკაია, რომელიც დონბასში იბრძვის, ამბობს, რომ ლესბოსელია და მას ბრძოლაში რამე რომ მოუვიდეს, დაიჭრას, ან დაიღუპოს, მისი საყვარელი ქალი ვერაფერს გაიგებს, რადგანაც ის მისი ოფიციალური ნათესავი არ არის. კანონის მიღების შემდეგ ერთნაირი სქესის პარტნიორები შეძლებენ დაღუპული ახლობლების დაკრძალვას და ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობას, ასევე სახელმწიფოსგან დახმარების მიღებას. ინსტაგრამში LGBT Military-ის გვერდის ინფორმაციით, უკრაინის შეიარაღებულ ძალებში ამჟამად დაახლოებით 50 ათასი გეი და ლესბოსელი მსახურობს. ზუსტი რაოდენობა უცნობია.

**„რა მნიშვნელობა აქვს, როდესაც ომში ხარ, გეი ხარ თუ ლესბოსელი, შენ ხომ უბრალოდ სიცოცხლე გინდა“,** – ამბობს ალინა. მისი თქმით, ჯარი ოჯახივით არის და იქ შენი პარტნიორის შესახებ ყველა შემთხვევაში გაიგებენ და ამის თაობაზე ინფორმაციას არავინ მალავს.



# ახალი საცხოვრებელი ბინები, თანამედროვე სტანდარტების კორტები და კალათბურთის ფესტივალი

## დედაქალაქის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტის ფარგლებში, კალოუბნის ქ. №18-ში სამსართულიანი შენობის ადგილზე, მრავალბინიანი, 10-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი აშენდება.**

მისი თქმით, პროექტის დასრულების შემდეგ, ავარიული სახლების მობინადრეები მიიღებენ გარემონტებულ და ზუსტად იმ ფართის საცხოვრებელ ბინებს, რომლებიც ავარიულ სახლში, მათ საკუთრებაში გააჩნდათ.

თბილისის მერის განცხადებით, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პერიოდში ადგილობრივი მცხოვრებლები ქირით იქნებიან უზრუნველყოფილი. რაც შეეხება ახალ პროექტს, თბილისის მერის თქმით, კალოუბნის №18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერი დასრულებულია.

თბილისის მერმა იმ სირთულეებზეც ისაუბრა, რომელსაც მუნიციპალიტეტი აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, მოსახლეობასთან მოლაპარაკებების პროცესში აწყდება.

**„45 მიმდინარე პროექტი გვაქვს, რომლებიც სხვადასხვა ეტაპზეა. ზოგის მშენებლობა უკვე დაწყებულია, ნაწილი კი სანებართვო პროცედურებს გადის. არის პროექტები, რომლებზეც მოლაპარაკებები მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ პროცესში არაერთ სირთულეს ვაწყდებით. მაგალითად, კონკრეტული ადამიანები ითხოვენ იმაზე მეტ საცხოვრებელ ფართს, ვიდრე მათ დღეს გააჩნიათ. ამას მუნიციპალიტეტი ვერ გააკეთებს. გვაქვს სრული მზაობა, რომ ჩანაცვლების შემდეგ, ყველა იქ მცხოვრებ ადამიანს საცხოვრებელი ფართები გადაეცეს იმ კვადრატული მეტრობით, რაც დღეს მათ საკუთრებას წარმოადგენს“,** – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე აღინიშნა, რომ საცხოვრებელი ფართებით უსახლკარო ოჯახების უზრუნველყოფის პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ დღემდე 71 ბინაა შეძენილი.

**„უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება ჩვენი საარჩევნო დაპირება იყო. დაპირებებს, რა თქმა უნდა, ვასრულებთ. გასულ წელს შევიძინეთ 55-ზე მეტი ბინა. დღეის მდგომარეობით, ჯამში, 71 ბინა გვაქვს შესყიდული და ამდენი ოჯახი დავაკმაყოფილეთ. ეს პროცესი გრძელდება და გაგრძელდება მანამდე, სანამ თითოეული ადამიანი არ იქნება ფართით დაკმაყოფილებული და აღნიშნული პრობლემა მოხსნილი“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ადამიანმა, რომელსაც აღნიშნული პრობლემა აქვს, პირველ ეტაპზე უსახლკაროს სტატუსი უნდა მიიღოს. შემდეგ მის საქმეს თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურში განიხილავენ და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

კახა კალაძის თქმით, მსგავს შენობებში მცხოვრებ ადამიანებს უამრავი პრობლემა ექმნებოდათ იმის გამო, რომ ნაგებობები არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული.

**„ამ პროცესით საბოლოოდ მხოლოდ იქ მცხოვრები მოქალაქეები ზარალდებიან, რადგან ჯერ ერთი, მათ ქონებას აქვს სტატუსი „მშენებარე ობიექტი“. ეს კი რასაკვირველია, არ ქმნის საკუთრების სრულფასოვნებას და უფლებრივად ყოველთვის ნაკლიანი ქონებაა. გარდა ამისა, იმის გამო, რომ ეს შენობები არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, იქ მცხოვრებლები ვერ ქმნიან ამხანაგობებს და თავის მხრივ, ვერ სარგებლობენ მუნიციპალიტეტში არსებული „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, შესაბამისი კანონი ორი წლის წინ იქნა მიღებული. აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ, ექსპლუატაციაში მიღებულია 400-მდე ობიექტი, ხოლო მიმდინარე წარმოებაშია 700-ზე მეტი განცხადება.

* * *

**სხდომაზე აღინიშნა, რომ ყოფილი იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩოგბურთის კორტების მშენებლობა იწყება.** აღნიშნული ტერიტორია წინა ხელისუფლების დროს საცხოვრებელი კორპუსების ასაშენებლად გასხვისდა, რომელიც მუნიციპალიტეტის ამჟამინდელმა მთავრობამ გამოისყიდა.

**„ადგილობრივ მოსახლეობას დავპირდით, რომ დაგეგმილი მშენებლობა არ განხორციელდებოდა. დავიწყეთ ამ მიმართულებით მუშაობა. მოვახდინეთ ადგილმონაცვლეობა, რაც საკმაოდ ძვირი დაუჯდა მერიას და აღნიშნული ტერიტორია მოსახლეობას დაუბრუნდა“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული პროექტი დასრულდება და ექსპლუატაციაში შევა 2025 წლის 1 ივლისისთვის.

**„აღნიშნული ტერიტორია ისტორიულად საჩოგბურთო კორტებს წარმოადგენდა. 2021 წელს გამოცხადდა აუქციონი, რომელიც მიზნად ისახავდა მიწის ნაკვეთზე საჩოგბურთო კორტების აღდგენასა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის განვითარებას – ჯამში, 5 000 000 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებას. დღეის მდგომარეობით, მესაკუთრეს მოპოვებული აქვს სამშენებლო ნებართვა და იწყებს მშენებლობას“,** – აღნიშნა კახა კალაძემ.

* * *

**თბილისის მერმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და „საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის“ ორგანიზებით, თბილისში Urban Sport Fest –ტურნირი 3X3 კალათბურთში დაიწყო.**

ფესტივალის ფარგლებში, შესარჩევი ეტაპი 2023 წლის 2 ივლისს გაიმართა, ხოლო 9 ივლისს, 19:00 საათზე ღონისძიების ფინალური ეტაპი გაიმართება.

**„ტურნირის მოთამაშეთა რეგისტრაცია განხორციელდა შესაბამის ვებგვერდზე. პროექტით დაინტერესება საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ ინფორმაციის განთავსებიდან ნახევარი საათის შემდეგ, ჩემპიონატის მონაწილე გუნდები დაკომპლექტდა. ტურნირში მონაწილეობს 24 გუნდის 100-მდე სპორტსმენი. სპორტულ ღონისძიებაზე დასწრება და პროექტის ფარგლებში მიმდინარე სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

### „მშვიდობის ხიდს“ სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება



**„მშვიდობის ხიდის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. უსაფრთხოების მიზნით, 5-დან 19 ივლისამდე ხიდზე გადაადგილება შეიზღუდება.**

მერიის ცნობით, პროექტის ფარგლებში 200 მეტრამდე სიგრძის საფეხმავლო ხიდის დაზიანებული უბნების აღდგენა-გაძლიერება ხდება. ასევე, რეაბილიტაცია უტარდება ხიდის საკიდებს და მთავარი მალის სავალ ნაწილზე არსებულ დეფორმირებულ კიზეებს. აღსანიშნავია, რომ ხიდის რეაბილიტაციის პროცესი უცხოელი სპეციალისტების აქტიური ჩართულობითა და ზედამხედველობით ხორციელდება. თბილისის მერია ბოდიშს გიხდით შექმნილი დისკომფორტისთვის.

### გრანტი რაჭის ეროვნული პარკის განვითარებისთვის

**დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ფონდს Global Conservation შორის საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა. ფონდმა მომდევნო 3 წლის განმავლობაში რაჭის ეროვნული პარკის განვითარებისთვის, დაახლოებით 200 000 დოლარი გამოყო.**

საგრანტო ხელშეკრულება ითვალისწინებს რაჭის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის შესაბამისი ინიციატივების განხორციელებას, პარკის დაცვის სისტემის დანერგვას და რეინჯერთა აღჭურვას საჭირო ტექნოლოგიებით, რაც უზრუნველყოფს პატრულირების ეფექტიან განხორციელებას, ბრაკონიერობისა და ჭრის ფაქტების ოპერატიულ გამოვლენას. ხელშეკრულების ფარგლებში, ასევე დაგეგმილია, ადმინისტრაციის თანამშრომლების გადამზადება.

დაცული ტერიტორიების სააგენტო მრავალი წელია წარმატებით თანამშრომლობს ფონდთან Global Conservation ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ველური ბუნების დაცვის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ რაჭის ეროვნული პარკის განვითარებისთვის, სხვა ახალ დაცულ ტერიტორიებთან ერთად, მომდევნო წლებში, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მიერ დაგეგმილია 16.25 მლნ ევროს, კავკასიის ბუნების ფონდისა და Wyss Foundation მიერ კი, დაახლოებით, 2 500 000 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება.

### ანაკლია-განმუხურის საზღვაო სეზონი გაიხსნა

**ღონისძიება ველომარათონით დაიწყო, რომლის გამარჯვებულებსაც ფულადი პრიზები გადაეცათ. ტერიტორიაზე მოეწყო გასტრონომიის საგამოფენო სივრცე.**

გახსნის დღესთან დაკავშირებით, განმუხურში მდებარე აკვაპარკში შესვლა მოქალაქეებისთვის უფასო იყო.



გახსნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება TAMADA-ს გრანდიოზული კონცერტით დასრულდა. ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლი სპეციალიზებული ტექნიკით ყოველდღიურად დასუფთავდება. ახალი ტექნიკა მუნიციპალიტეტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ გადასცა. სანაპირო ზოლზე მუშაობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველები. სპეციალისტების მიერ მოწმდება ზღვის წყალი.

### შავი ზღვის წყლის ხარისხი ნორმაშია

**„როგორც ცნობილია, გარემოს ეროვნული სააგენტო შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგს უკვე 10 დღეში ერთხელ, 9 სადგურზე ახორციელებს. კვლევების შედეგად ისაზღვრება ზღვის წყლის ქიმიური პარამეტრები.**

**აღებული სინჯები საანალიზოდ გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში იგზავნება, რომელიც აღჭურვილია მაღალი სიზუსტის მქონე ანალიტიკური ხელსაწყოებით და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. დაინტერესების შემთხვევაში მონაცემები არის საჯარო და გამჭვირვალე“,** – ნათქვამია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

### ნუნისი ლიცენზიის მოლოდინშია!

**კურორტი „ნუნისი“ სახელმწიფოსგან წყლის მოპოვების ლიცენზიას ელის. კურორტმა, სადაც წლების განმავლობაში კანის დაავადებებს წყლით მკურნალობენ, შესაძლოა წელს პაციენტებს სამკურნალო სერვისი ვერ შესთავაზოს, რადგან წყლის მოპოვების ლიცენზია კურორტის მმართველებს მიმდინარე წლის პირველ იანვარს ამოეწურათ, გასული წლის 20 ივლისს შეტანილ განაცხადზე კი წიაღის ეროვნულ სააგენტოსგან ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.**

კურორტის დამფუძნებელმა და დირექტორმა ირმა დაუშვილმა განაცხადა, რომ უწყება მათ 5-წლიანი ლიცენზიას სთავაზობს და დამატებითი ინვესტიციების განხორციელებას სთხოვს.

**„ნუნისში წყლის მოპოვების 23-წლიან ლიცენზიას ვადა მიმდინარე წლის პირველ იანვარს ამოეწურა. ჩვენ დავიჭირეთ თადარიგი და წიაღის ეროვნულ სააგენტოს გასული წლის 20 ივლისს თხოვნით მივმართეთ. დღემდე ეს მიმართვა განხილვის და შეთანხმების ეტაპზეა. სააგენტო ჩვენთვის მიუღებელ პირობებს გვთავაზობს. 5-წლიანი ლიცენზიის შეთავაზება ბიზნესისთვის, რომელსაც 1 მლნ-ზე მეტი ინვესტიციის განხორციელება ევალება, ცოტა არასერიოზულია. თუ ამ საკითხზე ვერ მოვილაპარაკეთ, იმის საშიშროება დგას, რომ ბევრი პაციენტი მკურნალობის გარეშე დარჩება. იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში შევჯერდებით“,** – ამბობს დაუშვილი.



# აჩრდილი დადის ევროპაში, სისხლიანი აჩრდილი, ლიბერალური ფაშიზმისა!



## დავით ქართველიშვილი: ევროპაში დაწყებულია სისხლიანი, ვანდალური აქციები - „ორი ტრუპის“ სცენარის განვითარებას 6-8 მარტის აქციებზეც ჰქონდა რეალური საფუძველი

„ამერიკაში აგორებული მოძრაობა BLM-ის (Black Lives Matter) შემდეგ, რომლის დანიშნულება და მიზნები ცდება მხოლოდ „რასისტულ“ კონტექსტს და ლიბერალური ფაშიზმის დღის წესრიგით იმართება, ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს დღეს უკვე ევროპაშიც. საფრანგეთში დაწყებული სისხლიანი, ვანდალური აქციები - დღეს უკვე იმართება ბელგიაში, შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთში. მათ თავისუფლად შეგვიძლია MLM-ი (Migrant Lives Matter) დავარქვათ.

პროტესტის საბაბი იდენტური იყო ამერიკაში განვითარებული მოვლენებისა, როდესაც პოლიციელს დაკავებისას „შემოაკვდა“ შავკანიანი ფლოიდი. საფრანგეთში, პოლიციელისთვის გაწეული დაუმორჩილებლობის გამო, 17 წლის ალჟირელი მოზარდი მოკლეს. მას შემდეგ ჯერ საფრანგეთში, ხოლო ახლა უკვე ევროპის ოთხ წამყვან ქვეყანაში დაიწყო ნამდვილი კოშმარი. დაკავებულია ათასობით პროტესტანტი. აქციების მონაწილენი – ახალგაზრდები და 15-წლამდე მოზარდებია.

შვეიცარიის მედია იუწყება ლოზანაში ღამის დარბევებისას დაკავებული პორტუგალიელი, ბოსნიელი, სერბი, სომალელი და ქართველი მიგრანტების თაობაზე. ბრიუსელში მხოლოდ გუშინდელ ღამეს დააკავეს 35 ადამიანი, აქედან – 31 არასრულწლოვანი. მხოლოდ გასულ ღამეს საფრანგეთში დააკავეს 719 ახალგაზრდა. მორიგეობის რეჟიმში იმყოფებოდა 45 ათასი პოლიციელი (აქედან 7 ათასი – მხოლოდ პარიზში).

ჩვენ ვწერდით იმის თაობაზე, რომ „ორი ტრუპის“ სცენარის განვითარებას 6-8 მარტის აქციებზეც ჰქონდა რეალური საფუძველი. ამ სცენარის ფარგლებში მიმდინარეობდა პოლიციელების მიზანმიმართული პროვოცირება ისეთ საპასუხო ქმედებებზე, რომლის დროს შესაძლოა განვითარებულიყო ტრაგიკული მოვლენები. ჩვენთვის ალბათ გამზადებულიც კი ექნებოდათ მორიგი აბრევიატურა – NLM (Nazzi Lives Matter).

მადლობა ღმერთს, ჩვენი ახალგაზრდობის ზომბირებული, დატრენინგებული და გენმოდიფიცირებული ნაწილის „საზარბაზნე ხორცად“ გადაქცევის გეგმის „ლეტალური“ ნაწილი ამ ეტაპზე წარუმატებლად დასრულდა. ამაზრზენია სხვა რამ: როდესაც ამ გეგმის ხორცშესხმაში მონაწილეობდა საქართველოში აკრედიტებული დასავლელი ელჩების უმეტესობა, იგივე შემადგენლობა ნიანგის ცრემლებს ღვრიდა ერთ დაკავებულ პოტენციურ მკვლელზე, ხოლო დანარჩენი დაკავებულები, ამ ელჩების მხრიდან უპრეცედენტო ზეწოლის გზით გაათავისუფლეს.

სად არიან ახლა ეს ელჩები? რას ნიშნავს მათი „კრავთა დუმილი“? სადაა ახსნა-განმარტება? რატომ იჭერენ „ზავშვებს“, მათ შორის – ქართველებს ლოზანაში? არა, მე ამ დუმილის მომხრე ვარ, ოღონდ პირველ რიგში, საქართველოსთან დაკავშირებით! ვოცნებობთ, როდის დადუმდებით საკუთარ თვალებში დირეებგამოტენილები ჩვენი „ბეწვების“ ძებნის პროცესის დროს. ან როგორ არ იღლებით? საკუთარ სახლებს რომ მიხედოთ – ვერა?“...



## თამარ ჩიბურდანიძე:

# მთელი ევროპა საპენსიო ასაკის გაზრდაზე ფიქრობს, უბადრუკი „ნაცმოძრაობა“ ხალხს მწარედ ატყუებს!

„ნაცმოძრაობისგან“ ტყუილი გასაკვირი არაა, თუმცა, როდესაც ასეთ პრობლემურ საკითხს ეხები და ხალხს ცრუ დაპირებებით კვებავ, მხოლოდ არჩევნებში ხმების მოსაპოვებლად, საკუთარი ქვეყნის მტერი ხარ.

შეუძლებელია, ამ პარტიას ვინმე, ცოტათი მაინც ჭკუათამყოფელი ეკონომისტი არ ჰყავდეს და არ იცოდნენ, თუ რა პრობლემებია დღეს საქართველოში ერის დაბერების კუთხით. რა თქმა უნდა, იციან, მაგრამ ხალხს მიზანმიმართულად ატყუებენ.

რეალობა კი ასეთია:

ბოლო 10 წელია ჩვენ გამუდმებით ვსაუბრობთ ერის დაბერების დინამიკაზე საქართველოში. მოსახლეობისთვის რომ ადვილად გასაგები იყოს, მსურს მარტივად ავხსნა, რა არის ერის დაბერება? ერის დაბერება არის დემოგრაფიულ თაობებს შორის დისბალანსი, ანუ, როდესაც ხანდაზმულთა რაოდენობა აჭარბებს ბავშვების რაოდენობას და ხანდაზმულთა წილობრივი მაჩვენებელი დიდია მთელ მოსახლეობაში. ასევე, როდესაც იზრდება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ქვეყანაში, რაც თავისთავად, ძალიან კარგია.

ევროპული სახელმწიფოები უკვე დიდი ხანია დაბერებულ ერებად ითვლება. საქართველო კი მათ შორის პირველ ადგილზეა. ამიტომაც აქვს ევროპას და საქართველოს მძიმე დემოგრაფიული პრობლემები. ერის დაბერების დროს ქვეყანას გასაცემი აქვს უფრო მეტი პენსია და სოციალური დახმარებები. სწორედ ეს იყო მიზეზი რამდენიმე წლის წინ ევროპაში საპენსიო ასაკის გაზრდისა. ამხელა დაწოლას ბიუჯეტზე თვით ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოებიც კი ვერ უძლებენ.

საქართველოში ყოველწლიურად ათასობით იზრდება პენსიონერთა რაოდენობა, ეს ძალიან კარგია, რადგან სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა გაიზარდა, რაც უპირველეს ყოვლისა, შედეგია საყოველთაო ჯანდაცვისა. გარდა ამისა, უკვე 4 წელია საპენსიო ასაკში შესვლა დაიწყო მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში დაბადებულმა თაობამ (გასულ საუკუნეში ყველაზე მეტი ბავშვი სწორედ ამ ათწლეულში დაიბადა). აქედან გამომდინარე, პენსიონერთა რაოდენობა მომავალ წლებში საგრძნობლად გაიზრდება.

ამ ვითარებაში შეუძლებელია საპენსიო ასაკის დაწევა, რადგან ეს წელში გადატეხს ქვეყნის ბიუჯეტს. როდესაც ამაზე ესაუბრები მოსახლეობას, წამგებიანია და შენს მიმართ კრიტიკულად განაწყობ, მაგრამ ეს სიმართლეა და ეს ხალხმა უნდა იცოდეს.

ქვეყნის მტერი უნდა იყო დღეს, რომ ეს საკითხი დააყენო. ეს არის მხოლოდ საარჩევნოდ მოსახლეობის მოტყუება და კონკრეტული ასაკოვანი სეგმენტის სიტყვიერი მოსყიდვა წინასწარ მიცემული ცრუ დაპირებებით. მათ კარგად იციან, რომ ნებისმიერ მოქალაქეს სურს საპენსიო ასაკის დაწევა, მაგრამ, მოსახლეობის 1%-მა თუ იცის რეალური პრობლემების შესახებ, რაც მთელი ევროპისა და მათ შორის, საქართველოს წინაშეც დგას.

ამიტომ, არის ბოროტებით სავსე ანტისახელმწიფოებრივი „ნაცმოძრაობა“. მართალია, დღეს მათი წინადადება უფრო მომხიბვლელია ხალხისთვის, ვიდრე ჩვენი დასაბუთებული ახსნა, თუმცა, მოკლე პერიოდის შემდეგ ჩვენგან გამჟღავნებული მათი კიდევ ერთი დიდი ტყუილი, საბოლოოდ, უფრო ეფექტური იქნება მათსავე წინააღმდეგ.

# რა შუაშია თამაზ გაიაშვილი, დიდი უკრაინის პატარა პრეზიდენტო?!



## უკრაინის საქმეთა დროებითი რწმუნებული საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკრაინის საქმეთა დროებითი რწმუნებული ოლექსანდრ შულგანსი უწყებაში დაიბარა.

ოფიციალური თბილისის ცნობით, შეხვედრაზე ავიაკომპანია „აირზენა – საქართველოს ავიახაზებისა“ და მისი მფლობელის სანქციების სიაში შეყვანის საკითხი განიხილეს.

ცნობისთვის: უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ 190 პირსა და 290 კომპანიას სანქციები პირველ ივლისს დაუწესა, მათ შორის მოხვდნენ "GEORGIAN AIRWAYS" და თამაზ გაიაშვილი.

## ლევან დავითაშვილი: უკრაინის ხელისუფლებამ არამეგობრული გადაწყვეტილება მიიღო!

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი უკრაინის მიერ ქართული ავიაკომპანიის „Georgian Airways“ წინააღმდეგ სანქციების დაწესებას „არამეგობრულ გადაწყვეტილებად“ აფასებს.

ლევან დავითაშვილი აცხადებს, რომ გადაწყვეტილება ერთმნიშვნელოვნად პოლიტიკურია.

„ცალსახად უნდა ითქვას, რომ ეს იყო მართლაც პოლიტიკურად განპირობებული გადაწყვეტილება, ჩვენ ვხედავთ, რომ ძალიან ბევრი ქვეყნის ძალიან ბევრი ავიაკომპანია დაფრინავს რუსეთში და უკრაინის ხელისუფლების მხრიდან მსგავსი რეაქცია ან გადაწყვეტილება სხვა შემთხვევაში არ ყოფილა. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მორიგი ძალიან არამეგობრული გადაწყვეტილება ვიხილეთ უკრაინის ხელისუფლების მხრიდან, ასეთი ფაქტები ჩვენ გვქონდა წინა შემთხვევებშიც, როდესაც საქართველოს რამდენიმე მოქალაქეს ე.წ. სანქციები დაუწესა უკრაინის ხელისუფლებამ. ცალსახად მიუღებელია, არ ჯდება ქვეყნებს შორის ურთიერთობის იმ სტანდარტში, რომელიც საქართველოს და უკრაინას გააჩნიათ. ამაში, ვფიქრობ, რომ ჩვენი ოპოზიციონერების ხელიც ურევია, რადგან ვიცით რამდენად დაკავშირებულია ზოგიერთი ოპოზიციური ჯგუფი უკრაინის ხელისუფლებასთან. ალბათ, საფუძველიც ზუსტად ეს არის იმ გადაწყვეტილების, რაც მიიღეს. როდესაც ხდება არასწორად ინფორმაციის მიტანა და შესაბამისად ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ორი ქვეყნის ურთიერთობებს აზიანებს და არანაირად არ არგებს. რაც შეეხება რეაგირებას,როგორც წინა შემთხვევებში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ჰქონდა ამაზე რეაგირება და დარწმუნებული ვარ, რომ ახლაც იქნება საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან შესაბამისი რეაქცია“, – განაცხადა დავითაშვილმა.

## სამხედრო ოპერაცია ლტოლვილთა ბანაკში

მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ისრაელის სამხედრო ოპერაციის შედეგად ათი ადამიანი დაიღუპა, 100 კი დაშავდა.

ჯენინის ლტოლვილთა ბანაკში მიმდინარე მასშტაბური ოპერაციის დროს დაშავებულთაგან 20 ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ისრაელის უსაფრთხოების ძალების ინფორმაციით, სამხედროებს ჯერ კიდევ აქვთ 10 გასანეიტრალებელი სამიზნე. ისრაელის სამხედროები აცხადებენ, რომ ოპერაციის მსვლელობის დროს 120 ეჭვმიტანილი დააკავეს, საერთო ჯამში, კი ჯენინის ბანაკში 300 შეიარაღებული მებრძოლი იმალებოდა. სამიზნეები სავარაუდოდ მოიცავს ადგილებს, რომლებიც მოიცავს ასაფეთქებელ ლაბორატორიებს.

პალესტინის წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციის ინფორმაციით, ჯენინის ლტოლვილთა ბანაკიდან 3 000 ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა, მათ შორის პაციენტების და ხანდაზმული ადამიანების. ისრაელის სამხედრო ოპერაცია ჯენინის ლტოლვილთა ბანაკის წინააღმდეგ ყველაზე მასშტაბურია 2000-2005 წლების მეორე ინტიფადას (პალესტინელების აჯანყება) შემდეგ.

# მე არ მინდა ახალი ბაბილონი!!!



## ღია წერილი

### შეწყალებულს და შემწყალებელს

**2007 წლის საქართველო:**

**ფაშისტი პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის 2006 წლის მოწოდება „ყველანი ციხეში! ყველანი ციხეში!“ შესრულებულია.!**

**ციხეები გადავსებულია. მატროსოვის ქალთა ციხეში ადეიშვილის მოადგილე გვარამია სოზარ სუბართან და ბაჩო ახალაიასთან ერთად შემოდის!**

**ათასობით ქალი თვალებით ხვრეტს უკანონო რეპრესიების შემსრულებელ გვარამიას. ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკად ქცეული მატროსოვის ზონა გადაკვეთეს 80 წელს მიტანებულმა გიული ალასანიასა და დღევანდელი პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ტოლმა ქალებმა და უსწრაფესად წრეში მოაქციეს ზონდერი გვარამია.**

ყველა მხრიდან გაისმის შეძახილები: „რას გვერჩით! რა დაგიშავეთ! რატომ იჩენთ ასეთ განსაკუთრებულ სისასტიკეს ქალების მიმართ!?“

– სახლში მაინც გვაცალეთ სიკვდილი – ეუბნება გეპეის ღვაწლმოსილი პედაგოგი, 75 წლის ლია საყვარელიძე. – დედაშვილობას გაფიცებ,ჩემს განაჩენს გადახედე – სთხოვს გვარამიას.

* * *

არის ერთგვარი სიჩუმე, სხვანაირი, განმარტოებისა და გაურკვევლობის დროს რომ გეწვევა. დუმილს არღვევს 77 წლის რუიზან ბადაშვილი, მთის მკაცრი მორალით გამორჩეული ქალი კუთხურად უქცევს და დაბალი ხმით, ჩვეული სიდარბაისლით მიმართავს გვარამიას:

– ვაჟაუ, ჩვენი ხნის ქალების ციხეში ყოფნა სად გაგონილა?!

მისი სხეულის შიგნიდან ამოხეთქილმა სიტყვებმა ციხის გისოსების იქით გაივაკა.

– რა დავაშავეთ, გვითხარით! სესხის გამო გამომკეტეს 9 წლით მოხუცი ქალი ციხეში.

**...ჟურნალისტი ხომ ყველგან ჟურნალისტია, ამ ყველაფერს ჩემი თვალით ვუყურებ და ვუსმენ, სხვის მონაყოლს კი არ ვამბობ, მაგრამ ამ სურათის მხატვრული და პოლიტიკური ანალიზი რთული საქმეა. ვცდილობ, ამ აზროვრივი ნამსხვრევებისაგან პატარა წერილი შევაკოწიწო და ზონდერ გვარამიას, მის შემწყალებელ პრეზიდენტს და ახლა კომფორტის ზონაში მყოფ სააკაშვილს და მთელ საზოგადოებას ზუსტად ვუამბო ის, რაც ხდებოდა იმ დღეს მატროსოვის ქალთა ზონაზე.**

იქვე შორიახლოს „როენა მამიდაც“ გამოჩნდა თავისი სპეციფიკური ლექსიკით:

– რა უნდათ ამ „ჩემისებს“? რამდენსაც მეტყვიან, ვიხდი, ესენი მეუბნებიან, ითანამშრომლეო. არ ვიცი მე მაგათი თანამშრომლობა, გაიგე, ხო აზრზე ხარ, ჯაშუშობას მთხოვენ და არ მიშვებენ, ჯაშუში კიდევ მე არ გავხდები, ერთი ტრაქტორისტის შვილი ვარ, მამაჩემის ტრაქტორი რომ არ გაეჩერებინათ, თბილისში ამ საქმიანობისთვის არ ჩამოვიდოდი.

ათასობით ქალში „როენა მამიდას“ ყველაზე მსუბუქი მუხლი ჰქონდა, პროსტიტუციისთვის ადგილის შერჩევა. „როენა მამიდა“ ფაშისტური რეჟიმის ჯაშუში არ გახდა, მან სასჯელი ბოლომდე მოიხადა და ზონდერ გვარამიასა და ვაიპრეზიდენტზე პატიოსანი ადამიანი აღმოჩნდა, რაც იყო, იმას არ მალავდა, ხელოვნური ნიღაბს არ ირგებდა. ნაცები 5 წელი აიძულებდნენ თანამშრომლობას ციხეში, ჯანმრთელობაც დააკარგვინეს და სულ ახლახან ციხიდან გამოსულს, „როენა მამიდასაც“ გული გაუჩერდა...

* * *

**გვარამიას მიმართ ქალთა პროტესტის ეპიცენტრიდან კარგა მოშორებით იდგა რუსი ეროვნების ქალი, ტატიანა, რომელიც წარმოშობით აფხაზეთიდან იყო .სააკაშვილის ფაშისტურმა იუსტიციამ ტატიანა გაასამართლა საზღვრის უკანონო კვეთისთვის. არანაირი სახელმწიფო საზღვარი არ არსებობს აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის.ბრალდება იყო ანტისახელმწიფოებრივი, ქალბატონ ტატიანას სახელმწიფო საზღვარი კი არ ჰქონდა დარღვეული, არამედ გადმოსული იყო საოკუპაციო ზოლზე. პროფესიით ბიოლოგს, მცენარეებისა და ყვავილებიოს ძებნისას გადმოუკვეთავს ეს ზოლი და მას 7 წლით თავისუფლება აღუკვეთეს.**

უკრაინის მოქალაქემ, სააკაშვილმა, უკანონოდ გადმოკვეთა სახელმწიფო საზღვარი, მას 7 წელი რატომ არ მიუსაჯეს?

ეს განათლებული ქალბატონი – ტატიანა მდუმარედ შეხვდა ზონდერ გვარამიას შემოსვლას. ერთად თავშეყრილი მიშას ხელის ბიჭების წინ 65 წლის ბიზნესმენი, ქონებაწართმეული ეთერ კვირიაშვილიც გაშეშებული დგას.ის პირდაპირ მიმართავს გვარამიას:

– კეზერაშვილმა წამართვა ქონება, თან 14 წლით გამამწესა ციხეში, რადგან საპროცესო შეთანხმებაზე არ წავედი, ციხიდან არ მიშვებს. გადახედეთ ჩემს გნაჩენს!

კვირიაშვილს ყოველ ცისმარე დღეს აკითხავდა კეზერაშვილის ფინანსური პოლიციის პროკურორი ნუგზარ სალია, – გირჩევნია, დათმო ქონება და ხელი მოაწერო საპროცესოს, თორემ აქედან ცოცხალი ვერ გახვალო!

არ დათმო საკუთარი ქონება კვირიაშვილმა, ჰოდა, ნერვიულობისაგან ზეწოლისგან ღვიძლი დაეშალა და ციხიდან გამოსული სულ მალე გარდაიცვალა.

* * *

**მკითხველო! კვირიაშვილის პროკურორი ჩემი პროკურორიც იყო. პროკურორმა სალიამ ხელი რომ ვერაფერზე მომაწერინა,მე კალმის მეტს ვერაფერს წამართმევდნენ და ამიტომ ამ ჯალათმა პროკურორმა ნოტარიული წესით გაფორმებული მცირებიუჯეტიანი სესხის ხელშეკრულების გამო ნაცური სამართლით 9 წლით მიკრა ციხეში თავი! ჩემთან მოსვლას ვერ ბედავდა, შორიდან კითხულობდა, ჯერ კიდევ ცოცხალიაო?**

მე კი გადავურჩი ცოცხალი დიდი ბრძოლით ამ სისხლიან რეჟიმს სააკაშვილ-ადეიშვილ-გვარამიას ციხის ჯურღმულებში, მაგრამ მარჯვენა თირკმელი იქ დავტოვე.ციხიდან ექიმთან გაყვანას ვთხოვდი სანნაწილის უფროსს, მაგრამ ვინ მომისმინა! ბევრი პატიმარი ჩაიხოცა, იყო ნამდვილი პოლიტიკური რეპრესიები, იმაზე უარესი მოვლენა, ვიდრე ეს ხდებოდა 1937-ში და თავისი სისასტიკით მრავალგზის აღემატებოდა მას. ჩემი თვალით ვუყურებდი, ურიკებით რომ მიათრევდნენ მიცვალებულებს. იმ მოხუც ქალებს გვარა-



მიასავით 7 მილიონი არ გაუფლანგავთ! მათ დანაშაულის ნიშნებიც კი არ ჰქონდათ საქმეში!.

**გვარამია უზედურო!**

**კიდევ იცი, რას გაგახსენებ?**

**შენს პოლიტიკურ ძმას, ახალაიას, მხარი რომ გაჰკარი იმ ქალის დანახვაზე, პირველი ჯგუფის ინვალიდი, დაუხმარებლად რომ ვერ გადაადგილდებოდა და პატიმრებს ხელში აყვანილი რომ მოჰყავდათ, გაოცებისგან შენ თვითონ აღგმოხდა, ეს მაინც რატომ დაიჭირესო?**

ჰოდა, რას ფიქრობდა მაშინდელი თქვენი სამართალი?

* * *

**მეორე ნიურნბერგის პროცესი საქართველოში უნდა გამართულიყო. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ხალხი ამას ელოდებოდა საარჩევნო პროგრამიდან გამომდინარე და ოცნებამ ყველა გადაგვაგდო და დღეს ამ პოლიტიკური მანქანის ავტორი „ვივამედიში“ კოტრიალობს, ბავშვის ჩასახვით არის დაკავებული?!**

**ყოფილო პროკურორო და ახლა, ვითომ მედიამენეჯერო, დღესაც არ ვიცი,იმ დღეს რატომ შემოხვედით დამწკრივებული და იქნებ ამდენი წლის შემდეგ მაინც მიპასუხო, თუნდაც საჯაროდ, რა გინდოდათ?!**

შენსავით 3 წელი კი არა, 10, 12, 14 წელზე მეტი ჰქონდათ მისჯილი იმ მოხუც ქალებს! იმათ საქმეებს ადეიშვილთან ერთად შენც აწერდი ხელს და შენ მოუხდელი სამი წლით კიდევ არა ხარ ოცნების მადლიერი?!

ჯალათი პროკურორი სალიაც არ დასჯილა, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილედ დაინიშნა და ერთ დღეს მისგან უკანონოდ გასამართლებული ყოფილი პატიმრების მთელი არმია რუსთავში, სამსახურში მივადექით. ისე გადამალეს, რომ თვალიც არ მოგვიკრავს და იქიდან მალე მოაშორეს...

რაც შეეხება გეპეის ლექტორს – ლია საყვარელიძეს,რომელსაც დანაშაულის დაფარვა ედებოდა ბრალად, მას განაჩენში ნაცების ცინიკური ვერდიქტი ეწერა, 12-წლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ ამ მხცოვან ქალს მანქანის მართვის უფლება ერთმეოდა, როცა ის, ალბათ ერთი საუკუნის წლოვანებას მიაღწევდა, საინტერესოა, მიქელ-გაბრიელთან მანქანით ხომ არ წავიდოდა?

ფუი, თქვენს კაცობას!

ფუი, შენს შემწყალებელს!

ლია საყვარელიძეს პატიმრობისას ერთადერთი ვაჟი მოუკვდა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ისიც თან მიჰყვა და მიწის მიმყრელიც არავინ ჰყავდა. ისევ ყოფილმა პატიმრებმა დავასაფლავეთ!

შარშან ვაკის რაიონის გამგებელს პირადად მივმართე, მან სოციალური პასუხისმგებლობა გამოიჩინა და დაკრძალა.ასე აღესრულა სააკაშვილის რეჟიმის სისასტიკისგან ქართველი ქალი, რომლის სილამაზესაც თავის დროზე ბევრი შენატროდა.

ახლა ვინმე გამამტყუნებს, რომ უკანონოდ გასამართლებულმა, პოლიტიკურად რეპრესირებულმა ჟურნალისტმა, ყოფილმა პატიმარმა პირდაპირ გითხრა შენს და შენს შემწყალებელსაც და ამ ვაიშეწყალების მომლოცველებსაც:

**– ამ გოროტმოქმედებების ჩამდენი, რეჟიმის ფუნქციონერი გვარამია შესაწყალებელი იყო?**

შენი დანაშაულების შესახებ ევროპელმა დეპუტატებმა და ამერიკელმა სენატორებმა ყველაფერი იციან, მაგრამ შენც მაგათი ძაღლიშვილი ხარ, ძაღლები კი ერთმანეთის ტყავს არ ხევენ...

საქართველოს დღევანდელი ვაიპრეზიდენტისთვის კი ხალხის გულისწყრომა ღობის ჩხირია, ის ორბელიანის სასახლეში არ უნდა იყოს ჩაბუდებული, მაგრამ ერთი რამ შენც კარგად უნდა იცოდე გვარამიავ და შენც,ზურაბიშვილო: არც ერთი არ ხართ თავისუფალნი!..

მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, რომელიც ვამბობ:

სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის ფუნქციონერები არ გასამართლდნენ და არც ერთმა მათგანმა კანონის წინაშე მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხი არ აგო!

მკვლელებისა და მწამებლების პარტია არ აიკრძალა!

თავს მოგვახვიეს დღევანდელი პრეზიდენტი, მისი ამომრჩევლები საკუთარ ცრუ არჩევანს აპროტესტებენ და მოითხოვენ, დატოვოს თანამდებობა! მაგრამ ის ამას არ გააკეთებს, რადგან არ სურს ასეთი სარგებლიანი პოლიტიკური კარიერის დასრულება და შვილების ასეთი ფუფუნების საფრთხეში ჩაგდება.ის გააგრძელებს ანტიეროვნულ ქმედებებს.

**ვინმეს არ მინდა ეგონოს, რომ ამ შეწყალებით სხვა შეწყალებების სერიები უკვე მორჩა. ადვილი შესაძლებელია, რომ პრეზიდენტი საკუთარ სიტყვებს კიდევ ერთხელ გადაახტეს: „არა და არასოდეს!“**

არც გვარამიას უნდა ედოს იმ ცრუ მონანიების შემდეგ ბალიშზე თავი.

ის ქვეყნიდან უნდა წავიდეს და თან გაიყოლოს თავისი შემწყალებელი პრეზიდენტი.

და ბოლოს მინდა, თქვენ გკითხოთ, „ოცნებელებო“, რომელ ევროპაში მიდიხართ?!

ჯუზეპე გარიბალდის, დოლორეს იბარურის, შარლ დე გოლის ევროპაში რომ არ მიდიხართ, ფაქტია!

**მკვლელებს, ფაშისტებს, იმპერიალიზმის პროპაგანდისტებს ხელს აფარებთ, მერე იწყალებთ, ე. ი. თქვენ მიდიხართ ადოლფ ჰიტლერის, ფრანკოს, მუსოლინის და მისთანების ევროპაში?**

**მე არ მინდა ახალი ბაბილონი და ჩემისთანა ასეულათასებს!!!**

**ყოფილი პოლიტპატიმარი**

**ნანა ხურცილავა**

**P.S.** **1954 წელს ამერიკელმა ჟურნალისტმა ედვარდ მოროუმ ტელედებატებში ბოლო მოუღო ამერიკის სენატორის ჯოზეფ მაკარტის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კამპანიას, რომელიც ისტორიაში ცნობილია „მაკარტიზმის“ სახელით და მალევე დაასრულა ამ სენატორის პოლიტიკური კარიერა.ის გალოთდა ამ ტელედებატებში წაგების შემდეგ, მაკარტის ნერვიულობასგან ღვიძლი დაეშალა და გავიდა გაღმა მარილზე.**

**მაკარტიმ დაუშვა შეცდომა, როცა თქვა, რამდენი დავაჩოქე ჩემს წინაშე და ერთ ჟურნალისტს ვერ ვაჯობებო? და დაეთანხმა ჟურნალისტს ტელედებატებზე.**

**მე ამერიკელ ჟურნალისტს არ ვედრები. მაგრამ თუ ის ებრძოდა ფაშიზმს, მე, ქართველი ჟურნალისტი, ამერიკელი ჟურნალისტისგან განსხვავებით, ციხის ჯურღმულებისგან ვებრძოდი ფაშიზმს და ციხის კედლებს შიგნიდან ვანგრევდი.**

**თუ ამერიკელი ჟურნალისტის, მოროუს, მოსაკლავად ჰიტლერი, გერინგი და მუსოლინი ბომბდამშენებს აგზავნიდნენ, სააკაშვილის რეჟიმის ფუნქციონერები, ადეიშვილ-გვარამია-კეზერაშვილები ჩემს მოსაკლავად ციხის „ბეზპრიდელებს“, ხუთგზის ნასამართლევ კრიმინალებს მიგზავნიდნენ სამოცკაციან ბარაკში, აბა, ციხის უფროსი მათთან შეთანხმების გარეშე ამდენს ვერ გაბედავდა.**

**ჰკითხეთ მატროსოვის ციხის ყოფილ უსაფრთხოების უფროსს – ზვიად კვარაცხელიას, რა ხდებოდა. კვარაცხელია დუმდა, მასთან ერთად მთელი ბანაკი.რადგან სააკაშვილის რეჟიმს ბომბდამშენები არ ჰყავდათ, მე და მათთვის მიუღებელი პატიმრები შემდეგ კბილებამდე შეიარაღებული სპეცნაზითა და სხვადასხვა საჯარისო ფორმირებებით, შუბლზე ავტომატმიბჯენილებს მიგვერეკებოდნენ ღამის წყვდიადში ისე, როგორც ესესელები ებრაელ ტყვეებს და გადაგვასახლეს საქართველოში ყველაზე მკაცრი რეჟიმის ციხეში, რუსთავის „კრიტში“. იმ ციხიდანაც კალმით ვებრძოდი ფაშიზმს და ერთ-ერთი შიმშილობის აქციის დროს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი საკანში, სისასტიკით ცნობილი ჯალათი გენერალი ქარბაძე სხვა ზონდერებთან ერთად შემოგვივარდნენ. ქარბაძემ მაგიდაზე ტურტლიანი ფეხები შემოგვილაგა და მე ფეხები მაგიდიდან ჩამოვაღებინე. ესეც შეგიძლიათ გადაამოწმოთ მაშინდელი „კრიტის“ დირექტორ დავით საცერაძესთან.**

**მე ასე ვებრძოდი სააკაშვილის ფაშიზმს და დღესაც ვაგრძელებ ბრძოლას სააკაშვილის ფაშისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ!..**

**მ. ზ.**





# ჰოდა, გიორგი ნიკოლაძის არითმომეტრისა

**ჰოდა, მე რომ პირველად ჩემს ერთ-ერთ წერილში გიორგი ნიკოლაძის არითმომეტრის ამბავი მოვყევი ჟურნალ „მართვეში“, 1978 წელი იდგა. მას მერე, ვინ იცის, რამდენჯერ მიხსენებია ეს მართლა საინტერესო ამბავი ნიკოლაძეთა ოჯახის შესახებ ჩემს მრავალრიცხოვან წერილებში ან სტუდენტურ თუ არასტუდენტურ აუდიტორიებში. ამიტომ ბუნებრივია, რომ დიდად საინტერესოდ მეჩვენა ნიკოლაძეთა დიდი ჯიხაიშის სახლ-მუზეუმის დირექტორის წერილი ფეისბუქის მესენჯერში.**

ჰოდა, მუზეუმის დირექტორი, ბატონი გიორგი ფანცულაია მწერდა: „ბ-ნო პაატა, ტექ. უნივერსიტეტიდან ხომ არ დაურეკავთ თქვენთვის? მე ვთხოვე, დაერეკათ. საქმე იმაშია, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიათა მიმართულებამ გიორგი ნიკოლაძის ელ. არითმომეტრის მიხედვით მოახერხა და დააპროექტა და შექმნა გიორგისეული არითმომეტრი, რომლის დემონსტრირებაც იქნება 19-ში ტექნიკურ უნივერსიტეტში“.

ჰოდა, არა-მეთქი: „ჯერჯერობით არ დაურეკავთ. ძალიან საინტერესო ამბავია. სიამოვნებით დავესწრები“. და 19 ივნისი მოვინიშნე ჩემს კალენდარში.

ჰოდა, ამასობაში 18 ივნისიც დადგა და რაკი არავინ დამირეკა, გიორგი ფანცულაიას შევეხმიანე, ხომ არ იციით, რომელ კორპუსში და რომელ საათზე იმართება ნიკოლაძის გამოგონების რეპრეზენტაცია-მეთქი. მგონი, 2-ზე იმართება, მაგრამ კარგი იქნება თუ ამ პროექტის ხელმძღვანელს ჰკითხავთო, და ხელმძღვანელის ვინაობასთან ერთად, მისი ტელეფონის ნომერიც მომცა: 995 599 10 09 73.

ჰოდა, დავრეკე, მაგრამ ძალიან ვინანე. ძალიან-ძალიან.

ჰოდა, პირველ რიგში, თავი წარვუდგინე, ვუთხარი, ვისგან ვიცოდი მათი ღონისძიების ამბავი და მისი გამართვის დრო და ადგილი ვკითხე. თან ისიც დავძინე, ალბათ გიორგი ნიკოლაძის დარბაზში იქნება-მეთქი. ჩემთვის ძალიან ძვირფასია ეს დარბაზი. სახელის გამოც და იმის გამოც, რომ ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად თავის დროზე სწორედ ამ დარბაზში მომიხდა დისერტაციის დაცვა.

ჰოდა, არაო! არც ვიცი ეგეთი დარბაზი თუ არებსობს ტექნიკურ უნივერსიტეტშიო და მისგან ათიოდე მეტრის დაშორებული კოპრუსის მისამართი მომცა. მართალი გითხრათ, კი გამიკვირდა, რომ ტენიკური უნივერსიტეტის თანამშრომელმა, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორმა, რომელიც გიორგი ნიკოლაძის მოღვაწეობის თუნდაც მხოლოდ ერთი ეპიზოდით არის დაინტერესებული, გიორგი ნიკოლაძის სახელობის დარბაზის არსებობაც არ იცოდა თავისსავე უნივერსიტეტში, მაგრამ ეს ჩემი გაკვირვება მალევე დამავიწყდა, ისე განვითარდა ჩვენი ის სატელეფონო დიალოგი.

ჰოდა, კორპუსის მისამართი კი მითხრა, მაგრამ საათზე თავი შეიკავა და დაპატიჟებული თუ ხართო, მკითხა. ერთი მხრივ, არ მეგონა, თუ გიორგი ნიკოლაძის სახელთან დაკავშირებულ რაიმე ღონისძიებაზე დაპატიჟება დამჭირდებოდა, მეორე მხრივ, დიდი ჯიხაიშის მუზეუმის დირექტორის ინფორმაცია ამის შესახებ, თუ ასეთი რამ საჭირო იყო, სწორედ ასეთ დაპატიჟებად ჩავთვალე და, მესამე მხრივ, რატომ არ უნდა უხაროდეს, თუ რომელიმე მეცნიერმა თუ მეცნიერთა ჯგუფმა ასეთი მნიშვნელოვანი რამ გააკეთა, მასზე დასწრების სურვილი გიორგი ნიკოლაძის სხვა მკვლევარსაც გაუჩნდეს?

ჰოდა, გაუხარდა კი არა, კიდევ ორჯერ გაიმეორა, ორგანიზატორებმა თუ არ მოგიწვიესო... ერთი სიტყვით, არასასურველია თქვენი დასწრებაო.

ჰოდა, ერთი ხანობა ისიც კი ვიფიქრე, – არაფერი ნიკოლაძის არითმომეტრი ამათ არ აღუდგენიათ და უცხო თვალს უფრთხიან-მეთქი, მაგრამ იმის ახსნას ხომ არ დავუწყებდი, რომ მე ჩემი ტექნიკური ცოდნით ამის გამოსააშკარავებლად არ გამოვდგებოდი და სრულიად სერიოზული ტონით, მაგრამ ირონიის ყველა კანონის დაცვით, ბოლო არგუმენტი მოვიშველიე, ბატონი გიორგი ფანცულაია, რომლისგანაც გავიგე თქვენი ღონისძიების შესახებ, თბილისში ჩამოსვლას ვერ ახერხებს და იქნებ მისი ადგილი მე დავიკავო-მეთქი.

ჰოდა, ტყუილს ვერ ვიტყვი – არ ესიამოვნა, ბატონი გიორგის არჩამოსვლა, მაგრამ როგორც ჩანს, ირონიას ვერ მიხვდა, ჩემმა ბოლო არგუმენტმა გაჭრა და გიორგი ფანცულაიას სკამი, თუმცა დაეჭვებით მაგრამ ჩემთვისაც გაიმეტა. კიო, ალბათ შეიძლებაო! აი, ამას ჰქვია, ჟურნალისტებს რომ ასწავლიან პირველივე კურსიდან, კარიდან თუ არ შეგიშვებენ, ფანჯრიდან უნდა შეხვიდეო.

ჰოდა, კი ვიცი ეს კანონი, მაგრამ, რასაკვირველია, არ წავსულვარ. გიორგი ფანცულაიას სკამი ალბათ ცარიელი დარჩა. ამ სატელეფონო საუბრის მერე კი დავურეკე გიორგის და ჩემი გაოცება და გულისწყრობა გავუზიარე. ვერაფერი მითხრა. არ ვიცნობო, მხოლოდ ტელეფონით შემეხმიანაო. მეგონა, გაუხარდებოდაო.

ჰოდა, იმავე საღამოს, როდესად ნიკო ნიკოლაძეთა ოჯახის თაყვანისმცემელმა და ქველმოქმედმა ლევან თარგამაძემ, ვისი თაოსნობითაც და თანადგომითაც მალე გამოიცემა რუსუდან ნიკოლაძის „უცნობი მოგონებების“ წიგნი, დამირეკა და მითხრა, რა კარგი იქნებოდა, რომ ამ ღონისძიებას დასწრებოდითო. მოკლედ ავუხსენი საქმის ვითარება და, თუმცა ალბათ გიორგი ფანცულაიას სკამი მელოდა, ვერა, ვერ წავალ-მეთქი, ვუთხარი.

ჰოდა, ეს ყველაფერი სულაც არ ეხება ჩემს ინტერესს ამ ღონისძიებისადმი. გიორგი ნიკოლაძემ და მისმა არითმომეტრმა რა დააშავეს. აღადგინეს და ძალიან კარგი უქნიათ. როგორ არ უნდა გამხარებოდა. მოუთმენლად ველოდი ტექნიკური უნივერსიტეტის საიტზე ინფორმაციას ამ ღონისძიების შესახებ.

**ჰოდა, დიახაც მართალია ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, რომლის სიტყვები სათაურად აქვს ამ ნიუსს უნივერსიტეტის საიტზე: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გიორგი ნიკოლაძის უნიკალური გამოგონების აღდგენამ, შესაძლებელია, საქართველოში ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ისტორია შეცვალოს“.**

ჰოდა, შეიძლება არა მარტო საქართველოში. დიახაც, სერიოზული რამ არის ნიკოლაძის არითმომეტრის აღდგენა. მერე რა, რომ მე ღონისძიების დასწრებაზე უარი მითხრეს. როგორ შეიძლება არ იამაყო გიორგი ნიკოლაძის დამფასებელმა ადამიანმა იმ მეცნიერთა თუ მკვლევართა ცოდნითა თუ ენთუზიაზმით, ვინც ამ საქმეს თავი დაადგა. რატომღაც მეგონა, რომ მათი გვარები, ტექნიკური უნივერსიტეტის საიტზე იქნებოდა ამოგვირისტებული, მაგრამ არა, არც ერთის გვარი, მხოლოდ ის წერია, რომ „გიორგი ნიკოლაძის გამოგონების ზუსტი ასლის აღდგენაზე სტუდენტების ჩართულობით, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ოთხმა მეცნიერმა იმუშავა. ჯგუფმა მოიძია ყველა ნახაზი, დოკუმენტი, რომელიც გამოგონების ზუსტი ასლის ასაწყობად იყო საჭირო.“

ქება და დიდება ამ ოთხ პროფესორს იმ თავიანთი სტუდენტებით, მართლა რა კარგი იქნებოდა, რომ მათი გვარები აქ ჩამეწიკწიკებინა, მაგრამ რაკი მათმა მშობლიურმა ინსტიტუტმა ეს საჭიროდ არ ჩათვალა, მე იმ ჩემი სატელეფონო მოსაუბრის გვარიც აღარ დამისახელებია, რომლის ტელეფონის ნომერი გიორგი ფანცულაიამ მომცა.

ჰოდა, ამ ინფორმაციაში არის კიდევ ერთი ფრაზა: „გიორგი ნიკოლაძემ არაერთი ევროპული და ამერიკული ფირმისგან მიიღო წინადადება, მისი გამოგონების ფართო მასშტაბით გამოყენების თაობაზე. დადასტურებული ფაქტია, რომ ნიკოლაძემ მათ უარი უთხრა, რადგან სურდა მოწყობილობაზე მუშაობა გაეგრძელებინა საქართველოში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გიორგი ნიკოლაძემ მართლაც ააგო გამოთვლითი მანქანის, არითმომეტრის მოდელი.“

**ჰოდა, ასეთი შეცდომა მეც მქონდა ჩემს ძველ წერილებში. და საერთოდ, იმდროინდელ პუბლიკაციებში რატომღაც ითვლებოდა, რომ თუ გიორგი ნიკოლაძე უარს იტყოდა ევროპული თუ ამერიკული ფირმების წინადადებებზეც, ამითი ის უფრო მეტად პატრიოტი გამოჩნდებოდა. არადა, გიორგის პატრიოტობას ეს დამატებითი დეტალი არ სჭირდება. სად იყო არითმომეტრი, როდესაც ნიკო ნიკოლაძემ ასეთი სიტყვები თქვა გიორგიზე: „ჩემი შვილი გიორგი დიდი მამულიშვილია და თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი“. ხოლო რაც შეეხება უცხოურ ფირმათა შემოთავაზებებს, გიორგი ნიკოლაძე არათუ უარს ეუბნებოდა, არამედ აქტიურად დაეძებდა მათთან კონტაქტს. ამის დასტურია მისი მიმოწერა თავის ძველ ნაცნობთან უილიამ ვასერმანთან, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული. ამის შესახებ ვწერ „გიორგი ნიკოლაძის ცხოვრების“ მეორე ტომში, რომელიც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის ხელშეწყობით გამოიცა. ნიკოლაძის არითმომეტრს ამ ტომში საგანგებო ქვეთავი ეძღვნება.**

ჰოდა, ნურვინ იფიქრებს, რომ ამ შეცდომის მითითებით ან საიტის მნიშვნელობას ვამცირებ ან თავად გიორგი ნიკოლაძის არითმომეტრის აღდგენას. ის კი დიახაც, საწყენია, რომ ჩემი ინტერესის მიუხედავად, ასეთი **არასტუმართმოყვრული,** არ მინდა ვთქვა, არაკოლეგიალური დამოკიდებულება გამოავლინეს. მაგრამ რას მიქვია ჩემი წყენა და გულისტკივილი, როცა ასეთი კარგი საქმე კეთდება. დიდი მადლობა, ყველას, ვინც ამ საქმეს თავკაცობდა და ვინც მასში მონაწილეობდა.

ჰოდა, ჩემი ნება რომ იყოს, იმ ოთხივე მეცნიერს, რომელთაგან სამის სახელებიც კი არ ვიცი, ხოლო ვისიც ვიცი, მასთანაც ერთი სატელეფონო საუბარი მაკავშირებს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჯილდოს – გიორგი ნიკოლაძის მედალს გადავცემდი. არ მოიქცა კარგად იმ ნიუსის ავტორი, ვინც მათი გვარები არ დაასახელა.

**ჰოდა, ამ ყველაფრის მერე თუ ვინმესთვის ჩემი რეკომენდაცია რამეს ნიშნავს, როგორც გიორგი ნიკოლაძის ცხოვრების აღმწერისა და მისი დიდი თაყვანისმცემლისა, მინდა ვთხოვო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ საბჭოს, განიხილოს ამ ოთხი მეცნიერისთვის გიორგი ნიკოლაძის მედლის მინიჭების საკითხი.**



**პაატა ნაცვლიშვილი**


ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა

## არითმომეტრი

კიდევ ერთი მოვლენის გამო იყო უცხოეთში მივლინება დიდად საინტერესო. გიორგი ნიკოლაძემ პარიზში „ელექტრონული არითმომეტრი“ გამოიგონა და საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში გააკეთა მოხსენება თავის გამოგონების შესახებ. ნიკოლაძის ეს მოხსენება საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის ანგარიშებში დაბეჭდილა და ახალი გამოგონების ამბავი პრესაშიც ასახულა.

პარიზში ყოფნისას გიორგი ნიკოლაძეს გამომთვლელი მანქანების საერთაშორისო გამოფენა დაუთვალიერებია და უკმარობის გრძნობა გასჩენია. ყველა მანქანა მექანიკური იყო და მხოლოდ ორ მოქმედებას აკეთებდა – შეკრებასა და გამოკლებას. ამ გამოფენის შედეგი იყო თუ მხოლოდ ამის მერე გაამჟღავნა, მან 1927 წლის მიწურულს თავისი ელექტროგამომთვლელი მანქანის მოდელი წარუდგინა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიას. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქაც, ამ შემთხვევაში, გიორგიმ, მეტალურგად მუშაობის მანძილზე, ბევრი რამ სიახლე გამოტოვა მისთვის ასე სანუკვარ მათემატიკაში და ეს გამოფენა მისთვის ნამდვილი მისწრება იყო. თავისი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ აკი ამბობდა, რომ ჩემი ცხოვრება უკვე აღმოჩენილის აღმოჩენას მოვანდომეო. როგორც ჩანს, ახლაც, სწორედ ამ გამოფენამ დაანახა მას, რომ პრინციპულად ახალი მანქანა შეექმნა: გიორგი ნიკოლაძემ მსოფლიოში პირველმა გამოიგონა ელექტროგამომთვლელი მანქანა, რომელიც მარტივ პრინციპზე იყო აგებული და ოთხივე მათემატიკურ მოქმედებას ასრულებდა. და გარდა ამისა, იყო იაფი და უცვეთი. ამ გამოგონებით ძალიან დაინტერესდა მორის დ'ოკანი, გამოყენებითი მათემატიკის, საანგარიშო მანქანებისა და მათემატიკის ისტორიის ფრანგი სპეციალისტი, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ქართველი გამომგონებლის საანგარიშო მანქანის აღწერილობა 1928 წლის 16 იანვრის მან აკადემიას ასეთი სიტყვებით გააცნო:

*: ელექტრობა გამომთვლელი მანქანის ამძრავში უკვე იყო გამოყენებული ტორეს კევადოს მიერ ელექტრომექანიკურ არითმომეტრში. გ. ნიკოლაძის მიერ მიგნებული გადაწყვეტა სრულიად სხვანაირია – ამ ახალ გადაწყვეტაში ყველაზე ღირსშესანიშნავია წმინდა ელექტრული სამარჯვი, რომელიც ძალზე მახვილგონივრულადაა მოცემული გრაფიკული სახით და ემყარება ჟენაირის მიერ გასამრავლებელი სახაზავებისათვის წამოყენებულ პრინციპს. ეს პირველი ამგვარი გამოყენებაა და გულით ვისურვებდი, რომ მონახულიყო კონსტრუქტორი გ. ნიკოლაძის შესანიშნავი პროექტის განსახორციელებლად. :*

გიორგი ნიკოლაძემ ცდა არ დააკლო, რომ მისი პროექტი განხორციელებულიყო. თვით ამერიკაშიც კი მისწერა უილიამ ვასერმანს, ვისაც სვანეთში ახლდა გიდად ორიოდე წლის, წინათ, მაგრამ მან გაიკითხ-გამოიკითხა და ამერიკული პრაგმატიზმის შესაბამისად, ახალი პროექტით უკვე არსებულის შეცვლას აქ ვერავინ დათანხმდებაო. 1928 წლის 16 აგვისტოს აგვისტოს ვასერმანი მას სწერდა:

ანგარიში გიორგი ნიკოლაძის არითმომეტრის შესახებ იმდროინდელ ქართულ პრესაში.

ახალი საანგარიშო მანქანა
დოცენტ გ. ნიკოლაძის გამოგონება

491



# ინდოეთის პრემიერმა რუსეთი არც აქო და არც აძაგა!

**ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნარენდრა-მოდის ვიზიტს ვაშინგტონში მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს. ბაიდენმა, მაღალი სტუმრის დასახვედრად და მისთვის დიდი პატივის მისაგებად, თეთრ სახლში ინდოეთის დიასპორის წარმომადგენლებიც კი მიიწვია. ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამერიკაში ინდოეთის ლიდერის სტუმრობისთვის, რაც შეიძლება, მეტი წონა მიეცა. ამერიკასა და ინდოეთს ერთმანეთი მართლაც ძალიან სჭირდებათ, თუმცა, ერთობ განსხვავებულ მიზეზთა გამო: ინდოეთი ამერიკისგან ინვესტიციებსა და მაღალ ტექნოლოგიებს ელის; დასავლეთი კი, ინდოეთისგან ანტი ჩინურ-რუსულ კოალიციაში გადასვლას ითხოვს. თავად ინდოეთი, როგორც კონკრეტულად, ისე, ისტორიულად, მიუმხრობელი პოლიტიკის გამტარებელია.**

ბოლო 10 წლის მანძილზე, ინდოეთის ეკონომიკა საკმაოდ დინამიურად იზრდება, მაგრამ, რადგან ქვეყანა სიღარიბეს ჯერ კიდევ ვერ აღწევს თავს, მას ინვესტიციები ჭირდება, რაც, ამ ეტაპზე, ხელეწიფება მხოლოდ ჩინეთსა და დასავლეთს. ჩინეთი ინდოეთს თავის ერთ-ერთ კონკურენტად მიიჩნევს, და შესაბამისად, არ არის დაინტერესებული მისი განვითარებით. ამიტომ, ინდოეთი, უფრო, დასავლეთთან დაახლოებას ცდილობს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ამერიკისა და ინდოეთის ურთიერთობის დონე სტრატეგიულ პარტნიორობაზე მაღალია. ნარენდრა-მოდიმ განაცხადა, რომ ამერიკასა და ინდოეთს ბევრი რამ აქვს საერთო, მათ შორის, ენა, როგორც ბრიტანული მმართველობის მემკვიდრეობა, დემოკრატიული სისტემა და აქცენტი უმაღლეს განათლებასა და სამეცნიერო კვლევებზე. ორივე ლიდერის აზრით, ორგანიზაცია QUAD უნდა გაძლიერდეს.

შეგახსენებთ, QUAD საერთაშორისო უსაფრთხოების ოთხმხრივი დიალოგია ამერიკის, ინდოეთის, ავსტრალიისა და იაპონიის მონაწილეობით. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ამერიკა და ინდოეთი თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ურთიერთობას გააღრმავებენ: ამერიკის სამხედრო ფლოტი ინდოეთის პორტებით ისარგებლებს; ამერიკა კი, ინდოეთს მაღალ სამხედრო ტექნოლოგიებს, მაგალითად, უპილოტო საფრენ აპარატებსა და რაკეტებს მიაწვდის; ამერიკაში ისწავლიან და იმუშავებენ წარჩინებული ინდოელი სტუდენტები.

შტატები ყოველთვის იყო დაინტერესებული კვალიფიციური ინდოელი ფიზიკოსებითა და მაღალი ტექნოლოგიების სპეციალისტებით. ბაიდენმა ნარენდრა-მოდის ოფიციალურ ვახშმზე უმასპინძლა. მეორე დღეს, განსაკუთრებული პატივის ნიშნად, მაღალი ინდოელი სტუმარი კონგრესში მიიწვიეს. ინდოეთის პრემიერი ამერიკის ბიზნეს-ელიტასაც შეხვდა. შედეგად, ამერიკული ბიზნესი საწარმოთა ჩინეთიდან ინდოეთში გადატანას ეცდება. გარდა ამისა, ინდოეთში მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელი ქარხნები გაიხსნება. ნარენდრა-მოდის ილონ მასკიც ესაუბრა.

ერთი სიტყვით, მხარეები ცდილობდა ორ ქვეყანას შორის კეთილი ურთიერთობის ხაზგასმას. რაც შეეხება განწყობას რუსეთის მიმართ, არც ერთი მხარე დიპლომატიურ ტონსა და ლექსიკას არ გასცილებია, ანუ, არც კარგი თქვეს და არც ცუდი. ინდოეთის პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ მშვიდობის მომხრეა და სულაც არ არის ნეიტრალური არსებულ დაძაბულ ვითარებაში.

და მაინც, დასავლელი ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ინდოეთი, რუსეთისთვის ზურგის საქცევად, ჯერ არ არის მზად, რადგან რუსეთი ინდოეთში ენერგორესურსების წამყვანი იმპორტიორია. ვერც ჩინეთს დაუპირისპირდება, დაუძლეველი ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამომდინარე, მაგრამ, მთავარი მაინც ისაა, რომ ინდოეთმა დასავლეთის ბანაკში გადასვლის პოლიტიკური მზაობა გამოამჟღავნა. დასავლეთმა კარგად იცის, თუ სად უჭირს ინდურ გეოპოლიტიკას და ამიტომაა დარწმუნებული ინდოეთის მისკენ გადახრაში. მიზნის მიღწევას, უბრალოდ, დრო სჭირდება. აკი, არც აჩქარებს დასავლეთი ინდოეთს გადაწყვეტილების მიღებაში!

# დაოჯახება სულაც არ არის მარტივი საქმე

**ამერიკის ერთ-ერთ ლიბერალურ გამოცემა Atlantic-ში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით, „პოლიტიკური პოლარიზაცია, უკვე, ქორწინებასაც ერჩის“. სტატია, ქორწინების შესახებ გამოქვეყნებულ ბოლო კვლევებს ეყრდნობა. ამერიკაში, იდეოლოგიური გავლენის შედეგად, მამაკაცები, თურმე, კონსერვატორებად ყალიბდებიან, ქალები კი, ლიბერალებად, რაც მოპირდაპირე სქესთა შორის პოლარიზაციას იწვევს. სტატიამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რადგან უკიდურესი პოლარიზაციის ნიშნები გამოამჟღავნა ამერიკული საზოგადოების შიგნით, განსაკუთრებით, ოჯახებში. ეცემა ქორწინების მაჩვენებელი და ხშირდება განქორწინების შემთხვევები. ზოგადად, ადამიანები ამერიკაში გვიან ასაკში ქორწინდებიან. უცოლოთა და გაუთხოვართა რაოდენობის ზრდაზე პირდაპირ მოქმედებს პოლიტიკური აზროვნების მკვეთრი განსხვავებულობა მამაკაცსა და ქალს შორის. წინათ, ქორწინებას რასობრივი განსხვავებულობა უშლიდა ხელს. ახლა უკვე, იდეოლოგიურმა წინააღმდეგობებმა შეიძინა მეტი გავლენა.**

განქორწინების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც წყვილის პოლიტიკურ შეხედულებათა შეუთავსებლობა აღმოჩნდა. კონსერვატორები თვლიან, რომ ლიბერალიზმშია ამ ბოროტების სათავე. ისინი თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ დასავლეთში სწორედ ლიბერალიზმმა მიაყენა ყველაზე დიდი ზიანი ოჯახის უძველეს ინსტიტუტსა და ცივილიზაციის ამ უნიკალურ მონაპოვარს, სადაც გამალებით მკვიდრდება ეული ცხოვრების წესი. კი ბატონო, დაოჯახება სულ არ არის მარტივი საქმე; ოჯახის შენარჩუნება, მითუმეტეს!

ოჯახი ადამიანისგან პასუხისმგებლობას, სხვისი პატივისცემის უნარსა და კომპრომისისთვის მზადყოფნას მოითხოვს, რისთვისაც, ახალგაზრდობა არ არის მოწადინებული. ახალგაზრდები, როგორც წესი, ქორწინებას გაურბიან. დაოჯახება აღარაა მათთვის პრიორიტეტი. ფსიქოლოგები ასეთ განწყობას ინფანტილიზმს,



ანუ ბავშვობაში ჩარჩენას უწოდებენ. ამ დროს, თანამედროვე ადამიანები ვერსად გაექცევიან კონვენციურ ჭეშმარიტებას, რომ მტკიცე ოჯახი მყარ საზოგადოებას ნიშნავს.

# მონღოლეთის ახალი დედაქალაქი ყარაყუმში შენდება

**ოდესღაც, ძლიერი და მეომარი, თავის დროზე, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი იმპერია, მონღოლეთი, დღეს იშვიათად ჩნდება ხოლმე საერთაშორისო ახალ ამბებში. ბევრმა, ალბათ, არც კი იცის, სად მდებარეობს ეს ქვეყანა, ვინ მართავს და რა ადგილი უკავია საერთაშორისო არენაზე. არადა, იყო დრო, სისასტიკით ცნობილი მხედართმთავრის, ჩინგიზ-ხანის მეთაურობით, მონღოლებმა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი იმპერია შექმნეს, გრიგალივით გადაუარეს ევრაზიის კონტინენტს და ყველგან და ყველაფერს თავისი სასტიკი კვალი დაატყვეს, მათ შორის, საქართველოსაც. რუსეთში, ოთხი საუკუნე იბატონეს და მნიშვნელოვნად შეცვალეს მათი ცხოვრების წესი და დემოგრაფია.**



ტერიტორიით მხოლოდ ბრიტანეთის იმპერიას თუ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ გამოხდა ხანი და მასაც იგივე ბედი ეწია, რაც ყველა სხვა იმპერიას: ნელ-ნელა დასუსტდა და მიილია. მონღოლეთი ორ დიდ ქვეყანას, რუსეთსა და ჩინეთს შუაა მომწყვდეული, და ზღვაზე გასასვლელი არ აქვს. ტერიტორიის სიდიდით, მეთვრამეტე ადგილზეა მსოფლიოში. მილიონ-ნახევრზე მეტ კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული, სადაც მხოლოდ სამნახევარი მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მოსახლეობის ნახევარი დედაქალაქ ულან-ბატორის მკვიდრია. მთელი ქვეყანა, თითქმის, სტეპია და აბა, რა იქნება! მე-17 საუკუნის ბოლოდან, მონღოლეთი ჩინეთის გავლენის ქვეშ იყო და ცინის დინასტია მართავდა. 1911 წელს, ქვეყანამ დინასტიურ მმართველობას თავი დააღწია და დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თუმცა, 1921 წლის შემდეგ, მხოლოდ დე ფაქტო სახელმწიფოდ მოიხსენიებოდა. საერთაშორისო აღიარება 1945 წელს, საბჭოთა კავშირის დახმარებით მოიპოვა, და დიდხანს დარჩა მისი გავლენის ქვეშ. სახელმწიფო წყობაც საბჭოური ტიპის ჰქონდა.

დღევანდელი მონღოლეთი შერეული პოლიტიკური სისტემის მქონე რესპუბლიკაა, რომლის სათავეში ოთხი წლის ვადით არჩეული პეზიდენტია. დღეს, მონღოლეთის სახელმწიფოს ლიდერი 55 წლის უხნააგიინ ხურელსუხია. მისი გვარი მონღოლურ ენაზე ბრინჯაოს ცულს ნიშნავს. იგი ქალაქ ულან-ბატორში მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. მამა მანქანის მძღოლობით არჩენდა ოჯახს. ხურელსუხმა თავდაცვის უნივერსიტეტი დაამთავრა პოლიტოლოგიის განხრით. შემდეგ, სახელმწიფო მართვის ხელოვნებას ეუფლებოდა მონღოლეთის სახელწიფო უნივერსიტეტში. სამხედრო ძალებშიც იმსახურა. 1987 წლიდან, მონღოლეთის მმართველი სახალხო-რევოლუციური პარტიის წევრია. 1990-იან წლებში, მონღოლეთში მრავალპარტიულობა დაუშვეს. დღეს, ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი რამდენიმე მცირე ზომის და ორ დიდ პარტიას, მონღოლეთის სახალხო პარტიასა და მის მთავარი ოპონენტს, დემოკრატიულ პარტიას მოიცავს.

2008 წლის ივლისში, ულან-ბატორში მასობრვი არეულობა მოხდა, რაც საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა გამოიწვია. არჩევნებში, მმართველმა სახალხო პარტიამ გაიმარჯვა. ოპოზიციამ არჩევნების შედეგები გააპროტესტა, რაც დიდ არეულობაში გადაიზარდა: 1000-ზე მეტმა რადიკალმა მმართველი პარტიის შტაბ-ბინა დაარბია და გადაწვა. მათ, ასევე, ცეცხლი წაუკიდეს კულტურის სასახლეს, სადაც ეროვნული სამხატვრო გალერეა იყო განთავსებული. ათასზე მეტი ტილო განადგურდა მაშინ.

პრეზიდენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. სამართალდამცველებმა წესრიგი ორ დღეში აღადგინეს. მოგვიანებით, პრეზიდენტმა ხურალსუხე პრემიერ-მინისტრად დააწინაურა. მისი პრემიერობის დროს, მონღოლეთმა საგარეო ვალის შემცირება მოახერხა; ჩინეთთან და სამხრეთ კორეასთან ხელი არაერთ ეკონომიკურ ხელშეკრულებას მოეწერა, რომლის მიხედვით, ამ ორმა ქვეყანამ, მონღოლეთში, 700 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციები განახორციელა.

2018 წელს, ხურალსუხე, ოფიციალური ვიზიტით, ვაშინგტონს ეწვია, სადაც მაშინდელ სახელმწიფო მდივანს, მაიკ პომპეოს შეხვდა. შეხვედრაზე, ხელი რამდენიმე ხელშეკრულებას მოეწერა. ხურალსუხემ განაცხადა, რომ ამერიკა მონღოლეთისთვის სტრატეგიული პარტნიორი გახდა. 2021 წლის 21 იანვარს, ხურალსუხე პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში აგორებული სკანდალის გამო.

კოვიდის პანდემიის დროს, საავადმყოფოებმა სათანადო მკურნალობა არ გაუწიეს მძიმე ვირუსით დაავადებულ ადამიანებს. პრემიერმა თავის თავზე აიღო პასუხისგებლობა, თუმცა, წასვლის წინ განაცხადა, რომ პოლიტიკაში დარჩებოდა. იმავე წლის მაისში, ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში, მმართველმა პარტიამ ხურალსუხე თავის კანდიდატად წამოაყენა. მან ხმათა 67 პროცენტი მიიღო და გაიმარჯვა.

შედეგად, 2021 წლის 25 ივნისს უხნააგიინ ხურალსუხე მონღოლეთის პრეზიდენტი გახდა. პრეზიდენტობის პირველივე დღიდან ქვეყნის ახალი ადმინისტრაციული ცენტრის მშენებლობის გეგმა გამოაცხადა: მე-13 საუკუნის მონღოლეთის იმპერიის დედაქალაქ ყარაყუმის ტერიტორიაზე ახალი თანამედროვე ქალაქი გაშენდება.

პრეზიდენტი ხურალსუხე ქორწინებაშია და ორი გოგონა ჰყავს. მონღოლეთის პირველი ლედი პროფესიით პედაგოგია. მათი უფროსი ქალიშვილი სახელწიფო უნივერსიტეტში ადამიანის უფლებებს ასწავლის...



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV

# დავით თორაძე – ქართული მუსიკის სიამაყე



**ხელოვნების თითქმის ყველა სფეროში, უფლის განგებით, სხვადასხვა დროს ერთი და იგივე თაობაში, ნიჭიერების მოზღვავება შეინიშნება და რაღაც კანონზომიერების სახეს იძენს...**

**მე-20 საუკუნის დასაწყისში მოხდა ქართველ კომპოზიტორთა შესანიშნავი თაობის აღზევება და ფაქტობრივად ეროვნული საკომპოზიციო სკოლის და ტრადიციების დაფუძნება. ასე მოხდა გასული საუკუნის 40-იან წლებშიც, როცა არენაზე გამოჩნდა ნიჭიერ კომპოზიტორთა მთელი თაობა, რომლის თანავარსკვლავედს განსაკუთრებულად ამშვენებს დავით (გუგული) თორაძის სახელი.**

ომის მომდევნო წლებში, სრულიად ახალგაზრდა კომპოზიტორი, უმაღლეს მწვერვალებს იპყრობს და გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს ქართველ ხელოვანთა შორის.

დავით (გუგული) თორაძე 1922 წლის 14 აპრილს დაიბადა თბილისში, პროფესორ ალექსანდრე თორაძის ოჯახში. რაჭული წარმომავლობა მას საშუალებას აძლევდა ბავშვობაში ხშირად ყოფილიყო თავისი წინაპრების სოფელ ჭყვიშში. სწორედ აქ გაირბინა მისმა ბავშვობამ აქ ეზიარა ულამაზეს რაჭულ ბუნებას და ხალხური სიმღერის მადლს. მშობლები, ხელოვნების უსაზღვროდ მოყვარულნი, თავიდანვე ზრუნავდნენ შვილების მუსიკალურ განათლებაზე. გუგულის მშობლებისგან გამოჰყვა მუსიკისადმი განსაკუთრებული ინტერესი. ამით იგი ოჯახის ყველა წევრისგან გამოირჩეოდა. 7 წლის ასაკში უკვე კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე. არაჩვეულებრივი მონაცემების ჭაბუკი, თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ, ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფში ჩარიცხეს. 1937 წელს დავით თორაძე ამავე მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტი ხდება, ერთდროულად საფორტეპიანო და საკომპოზიციო განხრით. მისი მასწავლებლები იყვნენ პროფესორები – ვირსალაძე და ბარხუდარიანი. 1939-41 წლებში სწავლას მოსკოვის კონსერვატორიაში აგრძელებს პროფესორ გლიერის საკომპოზიციო კლასში. მეტად საინტერესოა გლიერის მიერ სამახსოვრო სურათზე გაკეთებული წარწერა: **„დიდი ტალანტით დაჯილდოებულ ჩემს მოსწავლეს, დავით ალექსანდრეს ძე თორაძეს, საუკეთესო სურვილებით“, - რ.გლიერი,** მოსკოვი 1939წ.

1941 წელს სამამულო ომის დაწყებისთანავე, დავითი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო და სწავლა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაეგრძელებინა, კვლავ პროფესორ ბარხუდარიანის კლასში, სადაც ასპირანტურის სრული კურსიც დაამთავრა. მომავალი კომპოზიტორის საშემსრულებლო საქმიანობის პირველი ნაბიჯები სტუდენტურ წლებს უკავშირდება. იგი, როგორც პიანისტი, შემდეგ კი (1943 წლიდან), როგორც სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის მუსიკალური ხელმძღვანელი, ხშირად გამოდის ქართულ ესტრადაზე. სწორედ ამ პერიოდში იღებს სათავეს საქართველოში პირველი საესტრადო ორკესტრიც. ეს, ომიანობის წლებია. ამდენად, იმ დროს ნებისმიერი ადამიანისთვის სულიერი საზრდო,როგორც ჰაერი, ისე იყო საჭირო. ამ საქმეში ახალგაზრდა მუსიკოსის – დავით თორაძის, როგორც ორგანიზატორის და ხელმძღვანელის როლი დიდი იყო.



კომპოზიტორის ცოლ-შვილი

„ჩვენს გამოსვლებს ძალზე ბევრი მსმენელი ჰყავდა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა, რომელსაც მოსწონდა და იზიდავდა საესტრადო მუსიკა. კონცერტებს ვმართავდით სხვადასხვა საკონცერტო დარბაზებში, ქვეყნის ცენტრალურ ქალაქებში და რესპუბლიკის გარეთაც“ – იხსენებდა კომპოზიტორი. იმხანად შექმნილი საესტრადო სიმღერები: რევაზ გაბიჩვაძის (ამ საქმის პიონერის) „მომე ხელი“: დავით თორაძის „ლირიკული“, „მოდი ჩემთან“ და სხვა პირველი ეროვნული საესტრადო სიმღერებია, ჩვენში ჯაზური მუსიკის გარიჟრაჟზე შექმნილი.

ომის შემდგომ, მუდმივ ძიებაში მყოფი ახალგაზრდა ხელოვანი, თავს ანებებს საშემსრულებლო სფეროს და მთელი მონდომებით ებმება საკომპოზიტორო საქმიანობაში, პარალელურად ეწევა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მას იტაცებს სერიოზული მუსიკალური მიმდინარეობა, ისეთი,როგორიც ბალეტი გახლდათ. და აი, დავით თორაძე უკვე ქმნის თავისი შემოქმედების შედევრს, ბალეტ „გორდას“, რომლის პრემიერაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 1949 წლის 30 დეკემბერს შედგა. გამარჯვება თვალსაჩინო იყო. პრესა აღფრთოვანებული რეცენზიებით გამოეხმაურა სპექტაკლს: „...დიდი გემოვნებით შესრულებულმა სპექტაკლმა, ახალი ნათელი მიღწევებით გაამდიდრა თეატრი...“, „სპექტაკლის წარმატება დიდად განაპირობა ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანის დავით თორაძის მელოდიურმა, მგზნებარე მუსიკამ...“ ბალეტი წარმატებით დაიდგა მოსკოვში, უნგრეთში, პოლონეთში, საბალეტო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე პარიზში და მრავალ სხვა ქალაქში.

სწორედ „გორდადან“ (50-იან წლებიდან) დაიწყო ეროვნული, ქართული ბალეტის აღმავლობა, შეიქმნა არაერთი ბრწყინვალე ნიმუში, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ალექსი მაჭავარიანის „ოტელო“, სულხან ცინცაძის „დემონი“, დავით თორაძის „მწირი“ და სხვ. ამ საერთო წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის გენიალურ ქორეოგრაფს ვახტანგ ჭაბუკიანს.

შემოქმედებითმა გამარჯვებამ სტიმული მისცა კომპოზიტორს ახალი ნაწარმოების შესაქმნელად. იგი ქმნის ბალეტს „მშვიდობისათვის“, რომელიც ბალეტ „გორდას“ მსგავსად გმირული ხასიათისაა. ამ მხრივ ისინი, მათი წინამორბედი ქართული ბალეტის (ანდრია ბალანჩივაძის „მთების გულის“, გიორგი კალაძის „სინათლე“) ტრადიციების ჭეშმარიტი გამგრძელებლები არიან. მომდევნო პერიოდში დავით თორაძის ორ ბალეტს, მისი მესამე ბალეტი „მწირი“ შეემატა. ამ ბალეტზე უდიდესი ქორეოგრაფი მიხეილ ლავროვსკი ფილმს იღებს, რაც პირველ ნიმუშს წარმოადგენდა ქართულ სატელევიზიო სივრცეში. საბალეტო ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე ნიუ-იორკში მან „გრან-პრი“ მოიპოვა.

კომპოზიტორის შინაგანი შთაგონება, არა ნაკლები სირთულის ჟანრისაკენ, ოპერისაკენ უბიძგებს. დავით თორაძე ორ ოპერას წერს – „მთების ძახილი“ და „ჩრდილოეთის პატარძალი“. ორივე ოპერის ლიბრეტო იოსებ ნონეშვილს ეკუთვნის. თუ „მთების ძახილს“ რამდენადმე ეპიზოდური ადგილი უკავია ხელოვანის შემოქმედებაში, „ჩრდილოეთის პატარძალი“ კომპოზიტორის მნიშვნელოვან ქმნილებას წარმოადგენს. ოპერა საკმაოდ დიდხანს იდგმებოდა თბილისის საოპერო თეატრში. იგი წარმატებით იქნა ნაჩვენები მოსკოვში, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე 1958 წელს. ოპერა დაიდგა აგრეთვე ქუთაისის საოპერო თეატრში, რაც მის მყარ სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს. კომპოზიტორმა ამ ოპერაში უმაღლესი ოსტატობა, შემოქმედებითი მგზნებარება და უტყუარი პოეტური ალღო ჩააქსოვა, მრავალმხრივ გამოიყენა როგორც ვოკალის შესაძლებლობები, ისე საორკესტრო რესურსები. ოპერის შესახებ საქებარი სიტყვები გამოთქვეს კომპოზიტორებმა – როდიონ შედრინმა, დიმიტრი კაბალევსკიმ, დირიჟორმა – ალექსანდრე გაუკმა; მომღერლებმა – ივანე კოზლოვსკიმ, პეტრე ამირანაშვილმა და ზურაბ ანჯაფარიძემ.

დავით თორაძის სულიერი აღმაფრენის საშუალებად, მისი ოპერეტები – „ნათელა“ და „შურისმაძიებელი“ ითვლება. მათ გარკვეული როლი ითამაშეს ქართული ოპერისა და მუსიკალური კომედიის განვითარების საქმეში.

აღსანიშნავია კომპოზიტორის მრავალმხრივობა, მუსიკალურ სფეროში არ დარჩენილა არც ერთი მიმდინარეობა, მისი ნიჭიერება რომ არ შეხებოდა. თორაძის მდიდარ შემოქმედებაში თავისი განსაკუთრებული ადგილი ჰპოვეს: სიმფონიებმა, საფორტეპიანო კონცერტებმა, საგუნდო მუსიკამ და რომანსებმა. აღნიშვნას იმსახურებს მისი ორი სიმფონია, უვერტიურა – „როკვა“, საგუნდო პოემათა ციკლი – „ქართული ჩანახატები“, რომანსები – „ქარი კვლავ არხევს“, „თბილისის ღამე“, „შენზე ფიქრი“, „ტყის სიმღერა“, „ფოსტალიონის სიმღერა“.

ცალკე უნდა ითქვას საესტრადო და კინომუსიკაზე. მან შთამბეჭდავი მუსიკა შექმნა კინოფილმებისთვის. „ჭირვეული მეზობლები“, „დღე პირველი – დღე უკანასკნელი“, „შეხვედრა წარსულთან“, „პალიასტომი“, „კაცია ადამიანი?!“ და სხვა.

1953 წლიდან თორაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში. 1973 წლიდან იგი ამ სასწავლებლის პროფესორი იყო. მისი ურთიერთობა სტუდენტებთან მნიშვნელოვნად სცილდებოდა პროფესიულ ჩარჩოებს და ბუნებრივად პირად მეგობრობაში გადაიზრდებოდა ხოლმე, რამაც მომავალში დავითის პედაგოგიური საქმიანობის ხასიათი განსაზღვრა. მისი უშუალო მონაწილეობით ხდებოდა ახალგაზრდის პროფესიული ჩამოყალიბება, საკომპოზიციო საიდუმლოების წვდომა და ხერხების დაუფლება, მუსიკალური აზროვნებისა და გემოვნების ჩამოყალიბება, ახლის ძიება... ყოველივე ამას დავითი დახვეწილი ტაქტით და უტყუარი ალღოთი ახორციელებდა.

ამის დასტური გახლდათ მისი სტუდენტთა საჯარო კონცერტები, გამორჩეული აკადემიურობით, მრავალფეროვნებით და პროფესიული კულტურით. შედეგად, მან არაერთი ცნობილი მუსიკოსი აღუზარდა ქვეყანას. „...მისი სახლი მუდამ სავსე იყო სტუდენტებით, კოლეგებით, ვისაც ბედნიერება ჰქონია დასწრებოდა მის შთაგონებულ გაკვეთილებს, დამიდასტურებს, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი აკადემიური სწავლება. სწორედ ეს გახლდათ ნამდვილი შემოქმედება! თორაძის მუსიკა ისეთივე დახვეწილია, როგორც თვითონ გახლდათ – ელეგანტური, ლამაზი, მაღალინტელექტუალური და თბილი, ძალზე თბილი...“ – იგონებს კომპოზიტორი გიორგი ჩლაიძე.

თავისი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით მან დიდი ამაგი დასდო ქართულ მუსიკას. წლების მანძილზე ის იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ერთ-ერთი მდივანი.

ოჯახი ერის სარკეაო, ამბობენ! სწორედ ასეთად გვევლინება თორაძეების საამაყო ოჯახი: დავით თორაძე – თვალსაჩინო კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; მეუღლე – სილამაზით და ნიჭიერებით განთქმული ლიანა ასათიანი, უამრავი შესანიშნავი კინოსახეების შემქმნელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სპეციალობით ექიმი; შვილები: ნინო – მუსიკათმცოდნე; ლექსო – მსოფლიოში აღიარებული პიანისტი, უამრავი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, არა ერთი ცნობილი მუსიკოსის აღმზრდელი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1983 წელს ლექსოს მიერ ქვეყნის დატოვებამ, ერთგვარი დისონანსი შემოიტანა თორაძეების ოჯახში. სამწუხაროდ, სწორედ ამან გამოიწვია ამ ქვეყნიდან დავითის ნაადრევად წასვლა. ხელოვანი ხომ მაშინ მხოლოდ 61 წლის იყო.

სამწუხაროდ, ლექსოც 69 წლისა, ახლახან გარდაიცვალა.

**თვალი რომ გადავავლოთ დავით თორაძის მთელ შემოქმედებას, აშკარად შეინიშნება ქართული ხალხური ტრადიციების, ხასიათის და მელოდიის გავლენა. კომპოზიტორი მყარად დგას მშობლიურ მიწაზე. მისი დაუდეგარი ბუნება, ხალასი ნიჭი, სრულადაა აღბეჭდილი მის მუსიკალურ შედევრებში, რომლებიც დროს არ ექვემდებარებიან და მარადიულ სიცოცხლეს აგრძელებენ ჩვენი ეროვნული ხელოვნების ოქროს ფონდში.**



**გელა ქოქიაშვილი,**

მწერალი, პუბლიცისტი, მკვლევარი, კულტურის დამსახურებული მუშაკი სიღნაღის საპატიო მოქალაქე.

◉ ჩემპიონთა ლიგა



# სამეგრელო იწყებს

**შვეიცარიის ქალაქ ნიონში 2023-24 წლების სეზონის უეფა-ას ჩემპიონთა ლიგის წილისყრა გაიმართა. ქალთა საფეხბურთო კლუბი „სამეგრელო“ მე-3 ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად სლოვენიური „მურა“, კვიპროსული „აპოლონი“ და მაკედონიური „ლუბოტენი“ ერგო.**



ჩხოროწყუს გუნდი ნახევარფინალში ბალკანელებს შეხვდება. მატჩი სლოვენიაში 6 სექტემბერს გაიმართება. წილისყრის შედეგები და ჯგუფი „სამეგრელოს“ მთავარმა მწვრთნელმა **გივი კვარაცხელიამ** შეაფასა. მისი თქმით, მესამე ჯგუფში თანაბარი დონის გუნდები არიან და შანსი იმისა, რომ „სამეგრელო“ მომდევნო ეტაპზე გავიდეს, დიდია.

**„პირველ რიგში კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩხოროწყუს ამ დიდ წარმატებას. ჩვენ საქართველოს სახელი გაგვაქვს საზღვრებს გარეთ და ყველაფერს ვიზამთ, რომ ჩვენი ქვეყანა ვასახელოთ. წილისყრით კმაყოფილი ვარ, რადგან სამივე გუნდთან შეიძლება შედეგზე თამაში. თუ სხვა ჯგუფებს გადავხედავთ, აგვცდა „ბენფიკა“, „ანდერლეხტი“ და კიდევ ბევრი სხვა ძლიერი გუნდი.**

**რაც შეეხება „მურას“, ჩვენ მათ 2018 წელს, ჩემპიონთა ლიგაზე ვეთამაშეთ. იმ თამაშში მწყერაშვილი, ბებია და აკობიძე მონაწილეობდნენ, რომლებიც ახლაც ჩვენ გუნდში არიან. მაშინ „ნიკეს“ სახელით გამოვდიოდით და 0:4 წავაგეთ. მეტოქე ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდი იყო, ჰყავდათ სერბეთის, სლოვენიის და მაკედონიის ნაკრების ფეხბურთელები. თუმცა, ის ქვეჯგუფი „ჰიბერნიანმა“ მოიგო.**

**ჯგუფში ფავორიტად ვერავის მივიჩნევ, ყველა ერთი დონის გუნდია. „სამეგრელოს“ ჰყავს ბირთვი, რომლის იმედი მაქვს. მაგრამ, აუცილებლად გავძლიერდებით მაღალი კვალიფიკაციის 5-6 ფეხბურთელით.**

**გუნდში მოვიდა ჭიჭინაძე, ის არის ახალი-ძველი ფეხბურთელი. ლელა წლების განმავლობაში ჩვენი გუნდის წევრი იყო და ახლა ისევ დაუბრუნდა თავის სახლს, სხვა ახალწვეულებზე კი მალე გაიგებთ.**

**თამაშები სლოვენიაში 6-9 სექტემბერს გაიმართება – ჯერ ნახევარფინალი, მოგების შემთხვევაში კი ფინალი. მე-3 ჯგუფის გამარჯვებული მომდევნო ეტაპზე გავა, ნახევარფინალის წაგების შემთხვევაში კი მე-3 ადგილისთვის თამაში იქნება.**

**წილისყრით კმაყოფილი ვარ და ეს იმას ნიშნავს, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს, დანარჩენი კი სექტემბერში გაირკვევა“,** – გვითხრა კვარაცხელიამ. აქვე გეტყვით, რომ „სამეგრელო“ საქართველოს მოქმედი ჩემპიონია, მიმდინარე სეზონში კი 12 ტურის შემდეგ 27 ქულა აქვს და მეორე პოზიციაზე იმყოფება.

◉ ლეგიონერი



# მეხუთე ქართველი

**ქართველი ფეხბურთელი გიორგი კვერნაძე „ფროზინონეში“ გადავიდა, რომელსაც ერთწლიანი იჯარით და გამოსყიდვის უფლებით შეუერთდა.**

გიორგი მეხუთე ქართველია, რომელიც იტალიის სერია A-ში ითამაშებს კახა კალაძის, ლევან მჭედლიძის, ხვიჩა კვარაცხელიასა და ლუკა ლოჩოშვილის შემდეგ.

„ფროზინონე“ დიდი ტრადიციებით არ გამოირჩევა და ქართველი გულშემატკივრის უმეტესობისთვის უცნობი გუნდიცაა, რომელიც სერია A-ში ისტორიაში მესამე სეზონს გაატარებს, ხოლო მანამდე ძირითადად ქვედა ლიგებში გამოდიოდა.

გასულ სეზონში ლურჯ-ყვითლებმა სერია B-ში პირველი ადგილი დაიკავეს. გუნდს 2006 წლის „ფროზინონეს“ დღევანდელ შემადგენლობაში განსაკუთრებულად ცნობილ ფეხბურთელს ვერ ნახავთ. გუნდმა სერია B-ში წარმატებას ძირითადად იჯარით დამატებული მოთამაშეებით მიაღწია, რომელთაგანაც აღსანიშნავია „სასუოლოდან“ იჯარით აყვანილი მეკარე სტეფანო ტურატი, რომელიც 21-წლამდელთა ნაკრების წევრია.

ასევე თავდამსხმელი სამუელე მულატიერი, რომელმაც გასულ სეზონში 12 გოლი გაიტანა, მაგრამ ისიც იჯარით თამაშობდა. გუნდშია ლორენცო ინსინიეს ძმა, რობერტო ინსინიე, რომელიც შემტევი გარემარბია. აქვე უნდა ვახსენოთ ვეტერანი მცველი ფაბიო ლუჩონი და „იუვენტუსის“ ყოფილი მარცხენა მცველი ჯანლუკა ფრაბოტა.

ერთი წლის წინათ „ფროზინონემ“ ტურინის „იუვენტუსში“ გაყიმსოფლიოს ჩემპიონი ფაბიო გროსო წვრთნიდა, მაგრამ მან თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა. ის კიდევ ერთმა ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა ეუსებიო დი ფრანჩესკომ შეცვალა, რომელიც „სასუოლოში“, „რომაში“, „კალიარისა“ და „ვერონაში“ მუშაობდა. დი ფრანჩესკოს საუკეთესო მიღწევა 2017-2018 წლების სეზონში „რომას“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაყვანაა, როდესაც მეოთხედფინალში „ბარსელონა“ საოცარი ქამბექით გააგდო (1:4, 3:0), მაგრამ მერე „ლივერპულთან“ დამარცხდა.

„ფროზინონეს“ სტირპეების ოჯახი ფლობს და კლუბის პრეზიდენტი მაურიციო სტირპეა. სტადიონი კი მამამისის, ბენიტო სტირპეს სახელობისაა. სხვათა შორის, „ფროზინონე“ იტალიაში იმ იშვიათ გუნდებს მიეკუთვნება, რომლის საკუთრებაშია სტადიონი და არა ქალაქის მერიის. „სტადიო ბენიტო სტირპე“ 16 300 მაყურებელზეა გათვლილი, მაგრამ პრაქტიკულად ყველა თამაშზე ივსება.

„ფროზინონეს“ სადებიუტო სეზონი სერია A-ში 2015-2016 წლებში ჰქონდა, მაგრამ გავარდა. ელიტას მალევე დაუბრუნდა და 2018-2019 წლების სეზონშიც იქ ითამაშა, თუმცა, ადგილი მეორე ცდაზეც ვერ შეინარჩუნა. ამ კლუბს 11 სეზონი აქვს გატარებული სერია B-ში, სადაც პირველად 2006-2007 წლების სეზონში ითამაშა, იქამდე კი სერია C-ში (13 სეზონი), სერია D-ში (13 სეზონი), სერია C2-ში (16 სეზონი) და სამოყვარულო დონეზე გამოდიოდა.

და ცენტრალური მცველი ფედერიკო გატი, რომელმაც „ბებერი ქალბატონის“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებაც კი მოახერხა. ამ გუნდში თამაშობდა ალესიო ძერბინიც, რომელიც გასულ სეზონში ხვიჩა კვარაცხელიას თანაგუნდელი იყო „ნაპოლიში“. კლუბის ისტორიაში 68 გოლით საუკეთესო ბომბარდირია დანიელ ჩოფანი, რომელიც შარშან „კრემონეზეში“ ლუკა ლოჩოშვილის პარტნიორი გახლდათ.

„ფროზინონეს“ ისტორიაში მწვრთნელებიდან ფაბიო გროსოს გარდა, გამოსარჩევია ეუჯენიო კორინი („პალერმოს“ და „კიევოს“ ყოფილი კაპიტანი), რობერტო სტელონე, პასკუალე მარინო, მარკო ბარონი და ლეგენდარული ალესანდრო ნესტა, რომელიც ამ კლუბში 2019-2021 წლებში მუშაობდა.

ქალაქი ფროზინონე, ლაციოს რეგიონში, რომის მახლობლად მდებარეობს და წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკომუნიკაციო გზას რომსა და ნეაპოლს შორის. ქალაქის მოსახლეობა 43 386 მოსახლეს შეადგენს.

ამრიგად, გიორგი კვერნაძის კარიერაში ახალი ეტაპი და განსხვავებული ფურცელი იწყება. მას იტალიური მედია „ახალ კვარას“ უწოდებს, რაც ბუნებრივია – იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ახლა პრაქტიკულად ყველა ქართველი კვარაცხელიასთან ასოცირდება, მით უფრო, რომ გიორგის და კვარას საერთო აგენტი ჰყავთ და სათამაშო პოზიცია და სტილიც თითქმის იდენტურია.

# ორიოდე სიტყვით

### ფორუმი

**კრაკოვი და მალოპოლსკა** (პოლონეთი). მე-3 ევროპული თამაშები. საქართველო – გუნდური მე-19 ადგილი 9 მედლით (4 ოქრო, 2 ვერცხლი, 3 ბრინჯაო).



შეგახსენებთ, რომ ჩემპიონები გახდნენ სანდრო ბაზაძე (ხმლით ფარიკაობა), ზურაბ კინწურაშვილი (ტაეკვონდო), ლუკა შონია (კიკბოქსინგი) და ძიუდოისტთა ნაკრები, ხოლო ოლიმპიური ლიცენზიის მფლობელები გახდნენ ლეგენდარული ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე (მე-10!) და მოკრივე ლაშა გურული.

პარალელი: წინა მსგავსი კომპლექსური ღონისძიება მინსკში 30 მედლით დავასრულეთ, საიდანაც 27 სპორტის ძალისმიერ სახეობებში მოვიხვეჭეთ, მაგრამ ამჯერად სამბო და ჭიდაობა თამაშების პროგრამაში საერთოდ არ იყო შეტანილი, ხოლო ძიუდოში მხოლოდ გუნდური ტურნირი გაიმართა. სხვათა შორის, ამავე დისციპლინაში პირველ თამაშებზე ბაქოში ვერცხლი დავიმსახურეთ.

### ფეხბურთი

**ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატი.** მეოთხედფინალები. ინგლისი – პორტუგალია 1:0, ესპანეთი – შვეიცარია 2:1 (დამატებით დროში, ძირითადი დრო 1:1), საფრანგეთი – უკრაინა 1:3. ასე დავკარგეთ ოლიმპიადის საგზურის დაუფლების ბოლო შანსი, რადგან ფრანგების გამარჯვების შემთხვევაში დამატებით მატჩს უკრაინასთან 7 ივლისს რუმინეთში გავმართავდით. აღსანიშნავია, რომ ხვიჩა კვარაცხელიასა და გიორგი მიქაუტაძისგან განსხვავებით, უკრაინელთა ტრავმირებულმა ლიდერმა მიხაილო მუდრიკმა შვებულებით არ ისარგებლა, გუნდს თან ახლდა ფორუმზე და გამოჯანმრთელებულმა მთავარი როლი ითამაშა ფავორიტი ფრანგების ძლევაში: ჯერ 0:1-ზე გამოიმუშავა პენალტი, ხოლო შემდეგ 1:1-ზე შესანიშნავი გადაცემით შეასრულებინა დუბლი სუდაკოვს, რომელიც ტურნირის ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა 3 გოლით.

**დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ:** ინგლისი – ისრაელი (ბათუმი, 20 საათზე) და ესპანეთი – უკრაინა (ბუქარესტი, 23 საათზე). ისინი მეორედ შეხვდებიან ერთმანეთს: ჯგუფურ რაუნდში ბრიტანელებმა მეტოქეს 2:0 სძლიეს, ხოლო მეორე წყვილი დაზავდა – 2:2.



### თავისუფალი ჭიდაობა

**კომპოსტელა** (ესპანეთი). 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. საქართველო (მთავარი მწვრთნელი **ბელდუხ გავაშელიშვილი,** 10 ფალავანი) – 5 მედალი. **ოქრო** – ოთარ ადეიშვილი (79). **ვერცხლი** – გოგა ოთინაშვილი (65), საბა კობახიძე (70). **ბრინჯაო** – თორნიკე სამხარაძე (86), ნიკა ფანცულაია (97).

### ჭადრაკი



**პოლონეთი.** ქალთა წრიული საერთაშორისო ტურნირი ლეხ კაჩინსკის მემორიალი. 7 მონაწილე. პირველი ადგილი 3 დისციპლინის ჯამში – **მერი არაბიძე** – 26,5 ქულა. მან მესამე-მეხუთე ადგილები გაიყო კლასიკურ ჭადრაკში – 10 ქულა, პირველი იყო სწრაფ ჭადრაკში – 9 ქულა და პირველ-მეორე პოზიციები გაინაწილა ელვისებურ ჭადრაკში – 7,5 ქულა. 30 ივლისიდან 24 აგვისტომდე ჩვენი დიდოსტატი, რომელიც ევროპის მოქმედი ჩემპიონია, ბაქოში მსოფლიო თასის საიუბილეო – მე-10 გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას კიდევ 6 თანამემამულესთან ერთად (საპრიზო ფონდი – 2,5 მილიონი დოლარი).

### კალათბურთი

**გოგა ბითაძემ** და **სანდრო მამუკელაშვილმა** ნბა-ს კლუბებში კონტრაქტები გაახანგრძლივეს: პირველი მათგანი 1 წლით ორლანდო მეჯიქში დარჩა, ხოლო მეორე ასევე 1 სეზონს სან ანტონიო სფურზში გაატარებს.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

გიორგი რაზმიაშვილის (პ/ნ 43001027027) ეკატერინე რაზმიაშვილის (პ/ნ 43001022335) მზია რაზმიაშვილის (პ/ნ 43001021363) რომან რაზმიაშვილის (პ/ნ 43001012479) და ნიკოლოზ რაზმიაშვილის (პ/ნ 43001008016) შეტყობინების თაობაზე

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით (საქმე 3-23- 2023), შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-23) აგარა – ყორნისი - ცხინვალის საავტომობილო გზის კმ 1 (0+650) - ზე მდ. სურამულაზე ახალი სახიდე გადასასვლელის პროექტირება - მშენებლობის სამუშაოების პროექტის განხორციელებისთვის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ, ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვენატკოცაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 3736 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 270 კვ. მეტრზე (ს/კ 68.06.41.421), მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობასა (ღობე) და მრავალწლიან ნარგავებზე. აღნიშნულ საქმეზე 2023 წლის 20 ივნისს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.

დეპარტამენტმა, როგორც ექსპროპრიატორმა, დაიწყო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურები.

დეპარტამენტი მოქალაქეებს სთხოვს მათთვის შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის გადმორიცხვის მიზნით, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინონ საბანკო რეკვიზიტები, რომელზეც განხორციელდება დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვა. საბანკო რეკვიზიტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში დეპარტამენტი საკომპენსაციო თანხას განათავსებს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. ამასთან, დეპარტამენტი აფრთხილებს მოქალაქეებს, რომ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსება დაკავშირებულია გარკვეულ სანოტარო ხარჯებთან და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ თანხის გამოტანის შემთხვევაში, თანხის გამომტანი მიიღებს თავდაპირველად შეტანილ თანხაზე ნაკლებ თანხას (დაიქვითება სანოტარო ხარჯები).

# შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **კახეთის სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესების პროექტი**
განმახორციელებელი უწყება: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**
ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P173782**

კონტრაქტის # **KCIP/CS/ICS-01**
გამარჯვებული კონსულტანტი: **კონსტანტინე კიკალიშვილი**
კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **2023 წლის 3 ივლისი**
შერჩევის მეთოდი: **ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა**
კონტრაქტის ღირებულება: **61,224.48 ლარი**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **1 წელი**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი**

# CONTRACT AWARD NOTIFICATION

Project Name: **KAKHETI CONNECTIVITY IMPROVEMENT PROJECT (KCIP)**
Project Implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: **Georgia**
Project number: **P173782**

Contract Reference No: **KCIP/CS/ICS-01**
Awarded Consultant: **Konstantine Kikalishvili**
Contract Signature Date: **July 03, 2023**
Method of Selection: **Open Competitive Selection of Individual Consultants**
Contract Price: **GEL 61,224.48**
Duration of Contract: **1 year**
Scope of Contract: **Occupational Health and Safety Specialist**

# შავ ზღვაში დელფინები შეიძლება გაქრეს



**რუმინეთში მეცნიერებმა შავ ზღვაში დელფინების შესაძლო გაქრობასთან დაკავშირებით განგაში ატეხეს. მკვლევარები ამ პროცესს რუსეთ-უკრაინის ომს უკავშირებენ.**

რუმინელი მეცნიერების ინფორმაციით, 2023 წლის დასაწყისიდან დელფინების დიდმა რაოდენობამ დუნაის შესართავთან მიგრირება დაიწყო. მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ შავ ზღვაში დელფინები შეიძლება საერთოდ გაქრეს.

**ომის დაწყებამდე ჩატარებული კვლევების მიხედვით, შავ ზღვაში 253 000 დელფინი ბინადრობდა. ახლა მათი რაოდენობა 5000-მდე შემცირდა.**

დუნაის შესართავთან დელფინების მიგრირება მათ მიერ საკვების მოძიებასთან არის დაკავშირებული. რომლებიც საკვებს ვერ პოულობენ, იღუპებიან.

**„ეს საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. დუნაისთან მათი მიგრირება საკვების ძებნასთან არის დაკავშირებული,“** – ამბობს კონსტანცას ინსტიტუტის საზღვაო კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-სპეციალისტი ადრიან ფილიმონი. ამასთანავე, საუბარი არ არის მარტო დელფინებზე, არამედ ზღვის სხვა ცხოველებზე. რუმინეთის სანაპიროზე სულ უფრო ხშირად დაღუპულ დელფინებს პოულობენ. ბოლო კვირებში 45 მკვდარი დელფინი აღმოაჩინეს.

# სამ საუკუნოვანმა გაზეთმა გამოცემა შეწყვიტა




**მსოფლიოში ერთ-ერთმა უძველესმა გაზეთმა, 320-წლიანმა ავსტრიული Wiener Zeitung-მა ბეჭდური ვერსიის გამოცემა შეწყვიტა. ამიერიდან გაზეთი მხოლოდ ინტერნეტში განაგრძობს საქმიანობას. გაზეთის ხელმძღვანელობამ ბეჭდური გამოცემის დახურვის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ქვეყნის მთავრობამ საკანონმდებლო ცვლილება დაამტკიცა. ცვლილების მიხედვით, კომპანიები ვალდებულები აღარ იქნებიან, ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია გაზეთის ბეჭდურ გამოცემაში განათავსონ. რადგან ეს Wiener Zeitung-ისთვის შემოსავლის ძირითადი წყარო იყო, გაზეთმა ბეჭდური გამოცემა დახურა და თანამშრომლების ორი მესამედი სამსახურიდან დაითხოვა.**

Wiener Zeitung სამთავრობო გაზეთი იყო, თუმცა, დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკით ხელმძღვანელობდა. გაზეთმა გამოცემა 1703 წლის აგვისტოში დაიწყო და მას შემდეგ სახელიც არაერთხელ გამოიცვალა.

**„320 წელი, 12 პრეზიდენტი, 10 იმპერატორი, 2 რესპუბლიკა, 1 გაზეთი“,** – ასეთი წარწერა ამშვენებდა Wiener Zeitung-ის უკანასკნელი ნომრის თავფურცელს. აღსანიშნავია, რომ ამ გაზეთში დაიბეჭდა ადამიანის უფლებათა დეკლარაცია. აქვე იტყობინებოდნენ 1768 წელს „გამორჩეული ნიჭის“ მქონე 12 წლის მოზარდზე – ვოლფგანგ ამადეუს მოცარტზე. სამსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, Wiener Zeitung-მა გამოცემა მხოლოდ ერთხელ შეაჩერა – მას შემდეგ, რაც ნაცისტური გერმანია ავსტრიაში შეიჭრა და ქვეყნის ანექსია მოახდინა. ამდენი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ გაზეთის დახურვა ახლა უჩვეულო უნდა იყოს, მაგრამ თავად გამოცემა ბოლო ნომერში სხვა მიზეზებსაც ხსნის: **„ხარისხიანი ჟურნალისტიკისთვის ახლა რთული დროა. უფრო და უფრო მეტ პლატფორმებს იკავებს ყალბი ინფორმაცია, კატების ვიდეოები და შეთქმულების თეორიები“.**

# ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის 2023 წლის ანგარიში

ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდი დაფუძნდა 1996 წლის 11 ივნისს იუსტიციის სამინისტროს მიერ.

საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე 1998 წლის 3 ივლისს ფონდმა გაიარა ხელახალი რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროში.

ფონდმა განვლილი პერიოდის განმავლობაში მრავალი შესანიშნავი ღონისძიება განახორციელა.

2023 წლის 17 მაისს ფონდის გამგეობის გადაწყვეტილებით მოხდა ფონდის ლიკვიდაცია.

ფონდის დირექტორი
ლია პაპიაშვილი

# თაღლითობას ვერ შეეშვნენ...

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ მოქალაქეთა კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვისა და დიდი ოდენობით ქონების გადამალვის ფაქტებზე, ერთ-ერთი კომპანიის სამი ხელმძღვანელი პირი პასუხისგებაში იქნა მიცემული.**

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, რომელთა სამეწარმეო საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვა, მოქალაქეებისგან მიიღეს ჯამში 568 120 ლარი, რომლითაც უნდა შეეძინათ ავტომანქანები და ჩამოეყვანათ საქართველოში.

აღნიშნულის ნაცვლად, ბრალდებულების მიერ მიღებული თანხები გაფლანგული და არამიზნობრივად იქნა გახარჯული. ამავე დროს, მოქალაქეებთან არსებული და მოსალოდნელი ვალდებულებისთვის თავის არიდების მიზნით, ბრალდებულებმა მოჩვენებითი გარიგებით გადამალეს კომპანიის საკუთრებაში არსებული დიდი ოდენობით, დაახლოებით 740 000 ლარის ღირებულების ქონება, რათა დაზარალებულებს არ ჰქონოდათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა. სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით.

# ტრაგედია მახათაზე



**მახათას აღმართზე ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. თვითმხილველების თქმით, გარდაცვლილია მოტოციკლის მძღოლი, რომელსაც სავარაუდოდ, გზა ავტომობილმა გადაუჭრა. არსებული ცნობით, ადგილზე მობილიზებულმა სასწრაფო დახმარების ჯგუფმა დაშავებულის გადარჩენა ვერ შეძლო.**

# მკვლელობა ველისციხეში

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ფ. დამამძიმებელ გარემოებაში ორი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.**

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე თანასოფლელებს – 1952 წელს დაბადებულ გ.კ.-ს და ამავე წელს დაბადებულ მ.ზ.-ს, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.




# ედმონდ კალანდაძის „ფიქრი ფერით“...

**7 ივლისს, საქართველოს ეროვნული გალერეა ედმონდ კალანდაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას – „ფიქრი ფერით“ უმასპინძლებს.**

გამოფენა დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეის, „ვანდა“ გალერეისა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, გაიმართება. პროექტის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით, მზადდება ედმონდ კალანდაძის საიუბილეო კატალოგი. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მხატვრის 70-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეისა და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფონდებიდან, მხატვრის ოჯახისა და კერძო კოლექციებიდან. ედმონდ კალანდაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა შთამბეჭდავად მრავალფეროვანია, მან შექმნა ათასობით ნახატი, პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი. კალანდაძის ჟღერადი და ნათელი ხელოვნება არის სიყვარულის ჰიმნი საკუთარი სამშობლოსადმი, ერთ-ერთი ბრწყინვალე გვერდი საქართველოს ხელოვნების ისტორიაში. გამოფენა 5 აგვისტომდე გაგრძელდება.

# ელისე პატარიძის პირადი არქივი თსუ-ში დაიდებს ბინას



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის ელისე პატარიძის პირადი არქივის ნაწილი გადაცა, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გოჩა ჯავახიშვილმა თბილისში ჩამოიტანა.**

არქივი, ქართულ მხარეს, ელისე პატარიძის შვილების: ოთარ და თინათინ პატარიძეების გადაწყვეტილების საფუძველზე გადაეცა.

საარქივო მასალა მოიცავს ქართველი პოლიტიკოსისა და ჟურნალისტის სტატიებს, მოხსენებებსა და პუბლიკაციებს, რომლებიც ქართველი საზოგადოებისთვის, დღემდე უცნობი იყო. არქივი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსდება.

# დირიჟორი რობოტი

**სეულში, სამხრეთ კორეის ეროვნულ თეატრში, რობოტმა, EveR 6-მა დირიჟორის როლი მოირგო. კორეის ინდუსტრიული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მიერ შექმნილი რობოტის დებიუტი ქვეყნის ეროვნულ ორკესტრთან ერთად შედგა.**



მან ჯერ მაყურებელს დაუკრა თავი, შემდეგ კი, დირიჟორობა დაიწყო. ორკესტრს მასთან ერთად ჩოი სუიოლი ხელმძღვანელობდა. მისი თქმით, რობოტმა საქმეს თავი კარგად გაართვა, თუმცა მთავარი სისუსტე ისაა, რომ მოსმენა არ შეუძლია.

მოამზადა
**რუსუდან ქოჩულიამ**

# რომის პაპი აღშფოთებულია



**რომის პაპი ფრანცისკე შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში უკვე მეორედ ყურანის დაწვის ფაქტს გამოეხმაურა და შეშფოთება გამოთქვა,** – ამის შესახებ პონტიფიკოსმა არაბეთის გაერთიანებული საამიროების გამოცემა Al Ittihad-თან ინტერვიუში განაცხადა. **„ნებისმიერი წიგნი, რომელიც წმინდად მიიჩნევა, პატივი უნდა ვცეთ იმათ, ვისაც მისი სჯერა. მე ვარ გაბრაზებული და მეზიზღება ასეთი ქმედება“,** – თქვა ფრანცისკემ.

მანვე დასძინა, რომ „სიტყვის თავისუფლება არასოდეს უნდა იქნეს გამოყენებული სხვების საზიანოდ“. შეგახსენებთ, გასულ კვირას შვედეთში ერაყელმა კაცმა ყურანი დაწვა, რასაც ისლამური სახელმწიფოების მხრიდან მკაცრი რეაქცია მოჰყვა.

# ბნელ მატერიებს შეისწავლის



**კომპანია SpaceX-ის რაკეტამ Falcon 9 ორბიტაზე გაიყვანა ევროპული კოსმოსური სააგენტოს კოსმოსური ობსერვატორია „ევკლიდე“. „ევკლიდე“ კოსმოსში ბნელ მატერიასა და ბნელ ენერგიას მოძებნის. ერთ თვეში აპარატი 1,5 მილიონ კილომეტრს გაივლის. მისი საბოლოო დანიშნულება ლაგრანჟის წერტილში L2-ია, რომელიც დედამიწის უკან, მზისგან მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს და სადაც ახლა ტელესკოპი „ჯეიმს ვები“ იმყოფება.**

სააგენტომ „ევკლიდეზე“ მუშაობა 2012 წელს დაიწყო, თუმცა ასეთი ობსერვატორიის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 2008 წელს გაჩნდა.

ბნელი მატერია არის მატერიის ფორმა, რომელიც გალაქტიკებისა და სამყაროს უდიდესი სტრუქტურების ფორმირებას ახდენს. ის ჩვეულებრივი მატერიის ნაწილაკებს ერთმანეთისკენ იზიდავს. ბნელი მატერია დიდი აფეთქების პირველივე წამს წარმოიქმნა. როგორც ცნობილია, დაკვირვებადი სამყაროს 27% სწორედ ბნელი მატერიისგან შედგება.

# მოდის კვირეული პროტესტის ფონზე




**საფრანგეთში არსებული საპროტესტო ტალღის მიუხედავად, Alaia-ს მოდის სახლმა პარიზში დაგეგმილი შოუს გაუქმებაზე უარი თქვა. შემოქმედებითმა დირექტორმა, პიტერ მიულემ ახალი კოლექცია მდინარე სენას ფონზე წარადგინა.**

Alaia-სგან განსხვავებით, CELINE-ის შემოქმედებითმა დირექტორმა, ედი სლიმანმა პარიზში დაგეგმილი ჩვენება გააუქმა. სლიმანმა მიზეზად უსაფრთხოება დაასახელა. არნოს და LVMH-ის მოდის იმპერიის კიდევ ერთი ცნობილი ბრენდი,Dior გეგმავს ჩვენებას საფრანგეთის დედაქალაქში. როგორც ვკითხულობთ, Dior-ის შოუზე, უსაფრთხოების მაქსიმალური მობილიზება მოხდება. ჯერჯერობით სხვა ცნობილი ბრენდები, რომლებიც აგრეთვე მართავენ უახლოეს დღეებში შოუებს, განცხადების გაკეთებისგან თავს იკავებენ. კვირეული 6 ივლისამდე გასტანს და მასში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ოტ-კუტიურ ბრენდები: Dior, Chanel, Valentino, Balenciaga და ა.შ.

# დოკუმენტური ფილმები სტალონეს შესახებ

**სტრიმინგ-სერვისმა Netflix თავის YouTube-არხზე მსახიობ სილვესტრ სტალონეს შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის თრეილერი ატვირთა. სურათის სახელწოდებაა „სლაი“.**



მისი შემქმნელების თქმით, მაყურებლები ნახავენ მსახიობის ცხოვრების დეტალებს, რომელიც 50 წლის განმავლობაში მილიონობით ადამიანს ართობდა თავისი საკულტო ნამუშევრებით: „როკითა“ და „რემბოთი“ დაწყებული „შეუჩერებელნით“ დამთავრებული.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოჩულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 7 ივლისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6131; ევრო - 2.8342;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3040;
100 რუბლი - 2.9539; თურქული ლირა - 0.1003;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5394;
1000 სომხური დრამი - 6.7536

**ამინდი 5 ივლისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე +31 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +16, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +14, | დღე +34 |
| თბილისი: | ღამე | +21, | დღე +35 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge